№ 99

სამშაბათი, 14 ივნისი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 99

სამშაბათი 14 ივნისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.

ფასი 30 კაპ. (30—12)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი ა. ე. შჩერბინინა—1½—2 საათ.—ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არჩანიტაკი. 11—1 ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. ბძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. ифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 1) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

მაროკკოს საქმეები

გერმანიის დიპლომატიისა და პრესსის ყურადღება ამ ბოლო ხანს სავსებით საგარეო პოლიტიკაზეა მიპყრობილი. ის მღელვარება, რომელიც ევროპის საზოგადოებრივ აზრში გერმანიის იმპერატორის აფრიკაში დემონსტრატიულმა მოგზაურობამ გამოიწვია, დღესაც არ დაწყნარებულა. ახლა უფრო გართულდა და გამწვავდა, ეგრედ წოდებული, მაროკკოს საკითხი, რადგან სწორედ ამ დღეებში მაროკკოს სულთანმა საფრანგეთს მტკიცე უარი შეუთვალა რეფორმების შემოღების შესახებ და წინადადება მისცა, საერთაშორისო კონფერენცია მოიწვიოს საგნის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

ასეთი პასუხი რესპუბლიკის წინადადებაზე პირდაპირი დამარცხებაა იმ საგარეო პოლიტიკისა, რომელსაც ამ ბოლო წლებში მისდევდა საფრანგეთი და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი, ცნობილი დელკასსე. ეს დამარცხება ისეთი თვალსაჩინოა, რომ თვით გავლენიანი დელკასსე, რომელსაც ამდენ ხანს დიდ პოლიტიკოსად სთვლიდნენ, იძულებული გახდა თავის თანამდებობაზე უარი განეცხადებინა, რადგან პარლამენტის თითქმის ყველა დასები მისი წინააღმდეგი გახდნენ.

რამ გაამწვავა „მაროკკოს საკითხი“?

როგორც მკითხველს უთუოდ მოეხსენება, გასულ წელს მოხდა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება საკოლონიო საკითხთა შესახებ. ამხელშეკრულობის თანახმად, ინგლისმა მაროკკო საფრანგეთს დაუთმო. უკანასკნელს უნდა ეკისრნა მაროკკოში რეფორმების შემოღება და ამ, რიგად თავისი გავლენა იქ უნდა გაეძლიერებინა. სამაგიეროდ, მესამე რესპუბლიკის მთავრობამ დაუთმო დიდ ბრიტანიას ეგვიპტე და თავის ისტორიულ უფლებებზე სამუდამოდ ხელი აიღო. ამ ხელშეკრულობამ თავის დროზე ევროპის პოლიტიკურ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბევრი ფიქრობდა, რომ საფრანგეთმა ერთი მდიდარი ახალშენი დაისაკუთრა და მალე პროტექტორატსაც გამოაცხადებსო. საფრანგეთსაც ძლიერ უხაროდა ინგლისთან სახიფათო კონფლიქტს მშვიდობიანად დამთავრება და მაროკკოში სისხლის დაუღვრელად გაბატონება.

მაგრამ ამ შეთანხმებაზე დამყარებული იმედი არ გამართლდა და მკაცრმა სინამდვილემ სრულებით დაანგრია პოლიტიკოსების-მიერ აშენებული ციხე. გამოჩნდა ერთი დიდი სახელმწიფო, რომელმაც სხვა თვალით შეხედა დასახელებულ „ისტორიულ აქტს“ და საჯაროდ განაცხადა, რომ მან არაფერი არ იცის და არც სურს იცოდეს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებაზე. საქმე იმაშია, რომ, როდესაც ეს შეთანხმება მოხდა, საფრანგეთის დიპლომატიამ გერმანიას არაფერი არ აცნობა, თითქო ეს საგანი ამ სახელმწიფოს არ ეხებოდეს. ძლიერმა გერმანიამ ასეთი უყურადღებობა იუკადრისა და ერთის წლის შემდეგ პროტესტი განაცხადა. როდესაც საფრანგეთის მოკავშირე რუსეთი ბრძოლის ველზე საშინლად დამარცხდა, გერმანიის იმპერატორმა დემონსტრატიული „ვიზიტი“ გაუკეთა მაროკკოს სულთანს ტანჟერში და გარკვეულად განაცხადა, რომ მაროკკო ყველა სახელმწიფოსათვის ღია უნდა დარჩესო. ამრიგად, „დიდმნიშვნელოვანი შეთანხმება“ უმნიშვნელოდ იქმნა გამოცხადებული. მაროკკო ყველასათვის ერთნაირად თავისუფალი უნდა იყოსო,—ამბობს გერმანიის კანცლერი.—გერმანია ეკონომიურად დაინტერესებულია მაროკკოს ბედ-იღბალში (გერმანიის სავაჭრო ბალანსი მაროკკოში გამოიხატება 8 მილ. [illegible] მწიფოს იქ მეტი უფლებები არ უნდა ჰქონდესო. ამ მხრივ გერმანია იცავს ევროპის სხვა სახელმწიფოთა არსებით ინტერესებს, რამდენადაც ის „ღია კარის“, ე. ი. ვაჭრობის, თავისუფლების მოსარჩლედ გამოდის.

გერმანიის პროტესტმა მაროკკოს საკითხი ხელმეორედ ევროპის დიპლომატიის საკამათო საგნად გახადა. საფრანგეთმა ამას წინად გაუგზავნა რეფორმების პროგრამა მაროკკოს სულთანს. ეს რეფორმები უნდა მომხდარიყო საფრანგეთის ხელმძღვანელობით. გერმანიის უკმაყოფილებით გამხნევებულმა სულთანმა, რომელსაც საფრანგეთის გაბატონება დიდ სიამოვნებას არა ჰგვრიდა, უარჰყო ეს რეფორმები და წინადადება მისცა, მოეწვია საერთაშორისო კონფერენცია სადაო საქმეთა გამოსარკვევად. ასეთი პასუხი კი საფრანგეთის დიპლომატიისათვის სრულს დამარცხებას მოასწავებს.

რით აიხსნება მაროკოს საკითხის ასეთი დაბოლოვება და ვინ არის დამნაშავე, რომ საფრანგეთის მოლოდინი არ გამართლდა?

ამ კითხვაზე პასუხის მისაცემად საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა მიზანი ჰქონდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს დელკასსეს. დღეს არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის გარემოება, რომ დელკასსეს სურდა გერმანიის განმარტოვება. ეს იყო მისი მთავარი მიზანი. ამისათვის ის მომხრე იყო რუსეთთან კავშირისა, ამისათვისვე მან საჭიროდ დაინახა ინგლისთან დაკავშირება. დელკასსეს საგარეო პოლიტიკა უმთავრესად ანტიგერმანული იყო და, როგორც ამნაირი,—სახიფათო საფრანგეთისათვის, რომელსაც გერმანიასთან ომი არცა სურს და არც შეუძლიან. ბრიტანიისა და რუსეთის დახმარებით, ის ფიქრობდა ძველის „ჯავრის ამოყრას“, მაგრამ სინამდვილემ სამუდამოდ მოსპო ასეთის სურვილის განხორციელების შეძლება. რუსეთ-იაპონიის ომის მიერ გამოწვეულ საერთაშორისო დამოკიდებულების შეცვლამ ყველა დაარწმუნა, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც მისდევდა ნიჭიერი დიპლომატი დელკასსე, იყო არა თუ მარტო უტოპიური, არამედ საფრანგეთისთვის დიდად მავნებელიც, რადგან ადვილად შესაძლებელი იყო გერმანიასთან დამოკიდებულება გაემწვავებინა და მათ შორის ომი ამტყდარიყო. რუსეთთან კავშირმა საფრანგეთს არავითარი სარგებლობა არ მოუტანა (რუსეთმა კი ამ კავშირით საკმარისად ისარგებლა და ფრანგთა მილიარდებით სახელმწიფოს შემოსავალი გაადიდა: ტყუილად კი არ სჩივიან ფრანგები, რუსეთი იაპონიას ჩვენის ფულით ებრძვისო!). რუსეთის საკვირველმა დამარცხებამ დაამტკიცა, რომ მას ომის დროს საფრანგეთისათვის დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო. თუმცა ახლა ყველასათვის ცხადია ამ ფიქტიურ კავშირის სრული უმნიშვნელობა, მაგრამ დელკასსე მაინც რუსეთს ებღაუჭებოდა და მასთან კავშირი დიდ პოლიტიკურ სიბრძნედ მიაჩნდა. ინგლისის იმედი ომის დროს თვით ფრანგ ნაციონალისტებსაც არა აქვთ. ეჭვს გარეშეა, რომ საფრანგეთს მოსალოდნელ ომის დროს არც ერთი დიდი სახელმწიფო დახმარებას არ აღმოუჩენდა და ამნაირად ბრძოლის ველიდან დამარცხებული გამოვიდოდა, რადგან გერმანიასთან ომის გაწევა სხვის დაუხმარებლად მას, როგორც ამას თვით ფრანგები აღიარებენ, არ შეუძლიან.

ამრიგად, დელკასსეს საგარეო პოლიტიკას შეეძლო მესამე რესპუბლიკა დიდ ხიფათში ჩაეყენებინა. მშვიდობიანობისათვის ასეთი მავნე პოლიტიკა არ მოსწონდა საფრანგეთის დემოკრატიას, რომლის საუკეთესო წარმომადგენელნიც, როგორც, მაგალ., ცნობილი მოღვაწენი რადიკალი ჟორჟ კლემანსო და სოციალისტი ჟან ჟორესი, მუდამ იბრძოდნენ დელკასსეს „გამომწვევ პოლიტიკის“ წინააღმდეგ. და რომ ასეთი პოლიტიკა აუსრულებელი და მავნე იყო, ეს მაროკკოს საქმის დაბოლოვებამაც საკმაოდ დაამტკიცა. და დღეს, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იძულებული გახდა სამსახური დაეტოვებინა, როდესაც საფრანგეთს იმედი აქვს, რომ ძველი სისტემა „ახალის კურსით“ შეიცვლება და მით მშვიდობიანობა დაცული იქნება, ფრანგული პრესსა ერთხმად სიამოვნებით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკა დიდის განსაცდელისაგან განთავისუფლდაო.

რამდენად მართალი და საფუძვლიანია ფრანგულ პრესსის იმედი, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს, ვინაიდან მაროკკოს საკითხით გამოწვეული კონფლიქტი საფრანგეთსა და გერმანიას შორის ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ნაცვლად გერმანიისა, როგორც ეს დელკასსეს სწადდა, დღეს საფრანგეთია განმარტოვებულად დარჩენილი და ამიტომ,—შეგვიძლია ვიფიქროთ,—გერმანია არაფერს დაუთმობს მას ამ საქმეში... ჭკუასთან ახლოსაა ეს მოსაზრება, რომ თვითონ საფრანგეთი დაადგება დათმობისა და გერმანიასთან დიპლომატიურად შეთანხმების გზას, რათა თავიდან აიცილოს ომი, [illegible] ძალიან საეჭვოა...

ივ. რამიშვილი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ივნისი.

ლონდონი, 11 ივნისი. აქაური საქმის წრეები ძალიან დიდ შიშში არიან იმ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო, რომელიც მაროკოს საკითხის შესახებ გერმანიამ დაიჭირა. ეს შიში გამოიხატა ყველა ფონდების დაწევაში. ეს შიში ფინანსიურ წრეებში უფრო ძლიერია, ვიდრე პოლიტიკურ წრეებში.

ბერლინი, 11 ივნისი. გუშინ ბიულოვმა საფრანგეთის ელჩი ბიჰურე მიიღო და რუვიეს საპასუხო ნოტის შესახებ დიდხანს ელაპარაკა.

ბუდაპეშტი, 11 ივნისი. ფეიერვარმა გუშინ იმპერატორს სამსახურიდან დათხოვნა სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო.

ლოძი, 10 ივნისი. დღეს გაზეთები არ გამოსულა.

მინსკი, 11 ივნისი. რედაქცია „სევერო-ზაპადნი კრაი“-სა, რომელიც მავნე მიმართულების გამო, განსაკუთრებით ბეჭდვითი სიტყვის გამო, დროებით შეჩერებული იყო, აცხადებს, რომ გაზეთის გამოცემა განახლდება ახალ პასუხის-მგებელ რედაქტორის დამტკიცებისთანავე.

პეტერბურგი. 8 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის ჟურნალით ერთხმად დადგენილ იქმნა, დაარსდეს განსაკუთრებული საბჭო მის უმაღლესობის ნდობით აღჭურვილ პირის თავმჯდომარეობით უმაღლესად დანიშნული პირებით. აგრეთვე თავმჯდომარეს ნება უნდა მიეცეს, მოიწვიოს ისეთი პირები, რომლებიც თავის გამოცდილებით, ცოდნით, საქმეს დახმარებას აღმოუჩენენ. საბჭოს განსახილველი საგნები იქნება: 1) აღინიშნოს უმთავრესი ნაწილები ებრაელთა საკითხისა, რომლის გადაწყვეტაც საფუძვლად უნდა დაედოს ებრაელთა შესახებ სრულს კანონმდებლობის გადასინჯვას უმაღლესად გამოცემულ 18 თებერვლის რესკრიპტის ძალით მოწვეულ ხალხის წარმომადგენლებთან წარსადგენად; 2) დაწვრილებით გადასინჯულ იქმნას ყველა ის მასალა, რაც კი ებრაელთა საკითხს შეეხება და ეს გადასინჯული მასალა დაკანონებულ წესრიგით მთლიანად, ან ნაწილ-ნაწილად, წარუდგინოს საკანონმდებლო ორგანოს.

ვარშავა, 11 ივნისი. პატრულს მოშბა ესროლეს, 5 კაცი დაიჭრა, ერთი მოკვდა. ყველა ქარხნებმა ქალაქში და მახლობელ სოფლებში მუშაობა შესწყვიტეს. ტრამვაი არ მუშაობს.

ლოძი, 11 ივნისი. გუშინ თამასუქების პროტესტები არ ყოფილა. ბანკები დაკეტილია. ქუჩებში სროლა ისმის. ქარხნებში არ მუშაობენ. ტრამვაი არ მუშაობს. მთელს ქალაქში პატრულები დადიან. მცხოვრებლები აღელვებულები არიან. მოვიდა ერთი პოლკი ცხენოსანთა და ერთი პოლკი ქვეითა ჯარისა.

კრემენჩუგი, 11 ივნისი. დურუნნის ქარხანა მუშების გაფიცვის გამო წარმოებას სწყობს.

პეტერბურგი, 11 ივნისი. ოფიციალური. 3 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა ჟურნალი მინისტრთა კომიტეტისა, 1904 წ., 12 დეკემბრის ბრძანების მუხლის განხილვისა ებრაელების შესახებ. კომიტეტის აზრით, სამართლიანი გადაწყვეტა ამ საკითხისა მაშინ მოხდებოდა, თუ რომ ებრაელები უფლებებით გათანასწორებულ იქმნებოდნენ სახელმწიფოს სხვა მკვიდრთან, მაგრამ საკითხის საზოგადოებრივი და ყოფა-ცხოვრებრივი მხარეები იძულებულ ჰყოფენ კომიტეტს ეს საკითხი სხვა გვარ გადაჭრას. ებრაელების გათანასწორება უფლებებით სახელმწიფოს სხვა მკვიდრთან ავნებს საზოგადოების ინტერესებს, ვინაიდან მისი ეკონომიური ცხოვრება უზრუნველ-ყოფილი არ იქნება ებრაელების ზეგავლენისაგან და ეს კი გამოიწვევს სამწუხარო და არასასურველ მოვლენებს. არ არის აგრეთვე ცნობილი, შეუძლიანთ-კი თანამედროვე პირობებში ებრაელებს თავი დააღწიონ თავის კარჩაკეტილობას, რომელსაც მათ უსაყვედურებენ და რომელიც, საზოგადოების აზრით, მათ აერთებს და ჰქმნის სახელმწიფოს სახელმწიფოშივე. ამიტომ მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა, ებრაელების შესახებ, მომავალ სახელმწიფო კანონმდებლობას, საფუძვლად დაუდოს საზოგადოებრივი აზრი და წინადადება მისცეს მომავალ, ხალხისგან არჩეულ საკანონმდებლო რჩევას ახსნას ყოველი ეჭვი ამ საქმის შესახებ. თანახმად ზემოდ სათქმელის, მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა: დაარსოს უწყების გარეშე რჩევა, რომლის თავმჯდომარეც იქმნება მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის ნდობით აღჭურვილი კაცი, ხოლო წევრებად—უმაღლესად დანიშნული პირნი. ამ რჩევის თავმჯდომარეს ნება მიეცეს მოიწვიოს მცოდნე და ამ საქმეში ხელის შემწყობი პირნი და ამ რჩევას მიენდოს: 1, გამოიკვლიოს ებრაელთა შესახებ საკითხის უმთავრესი ნაწილები, რომელთა გადაწყვეტაც უმთავრესი მიზეზი უნდა იყოს ებრაელთა შესახებ საერთო კანონმდებლობის გადასასინჯავად და თანახმად 18 თებერვლის ბრძანების, ხალხისგან არჩეულთა კრებაზე წარსადგენად და შემდეგ კი წარსადგენად სახელმწიფო საბჭოში. 2) მოხდეს ყოველ მხრივი განხილვა ებრაელ-[illegible] შრომა დამზადდება, [illegible] რომელსაც ეს რედგინოს კანონმდებლობით მთავრობას შესაწყნარებლად.

ომსკი, 11 ივნისი. ამ ბოლოს დროს აქაური საწყობები ბრძოლის ველზე დიდძალ ცხენებს და ნამგლებს გზავნიან საქონლის საკვების მოსაცელად.

ვლადიმირი, 11 ივნისი. ივანო-ვოზნესენსკში კაზაკთა და მუშათა შორის მომხდარ შეტაკების მიზეზებს იძიებს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი.

ვარშავა. სტანისლავ ოკრაჟეიუს, რომელმაც პრაგის საპოლიციო ნაწილის შენობას ბომბა ესროლა, სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. რადგანაც დამნაშავე მცირე-წლოვანია და თავიც დამნაშავედ იცნო, ეს განაჩენი ხელმწიფეს წარედგინება განსახილველად. დღეს ყველა ფაბრიკებმა და განაპირას ტრამვაიებმა მუშაობა შესწყვიტეს. გაზეთები არ გამოვა.

ოსტროვი, 11 ივნისი. გლეხობაში გავრცელდეს სარევოლუციო დასის პროკლამაციები.

მოსკოვი, 11 ივნისი. ბოგოროდსკისა და გლაგინის ამხანაგობათა მუშებმა ადგენს მოთხოვნილებანი წარუდგინეს და მუშაობაზე ხელი აიღეს.

სუმი, 11 ივნის. ლებედინსკის მაზრაში არეულობა საშინლად მოედო. სუმის მაზრას გაძლიერებული დაცვაა.

ტომსკი, 11 ივნისი. გუშინ საგუბერნიო სამმართველოში კალბასის ნაჭრები გადმოაგდეს კრების დროს. კალბასი მერადის სითხით იყო გავსებული და მარჩობელა სუნი დააყენა. დამნაშავეთ ვერ მიაგნეს.

12 ივნისი.

სტოკჰოლმი, 12 ივნისი. მთავრობის მიმართ უნდობლობა დღითი-დღე იზრდება. პრესსას სამწუხაროდ მიაჩნია მთავრობის ასეთი გაუბედაობა და სისუსტე. კონსერვატორები კაბინეტის გადაყენებას იმედოვნებენ.

მოსკოვი, 12 ივნისი. საფრანგეთის, მოსკოვში მყოფმა, ელჩმა, მოსკოვში მცხოვრებ საფრანგეთის სათადარიგო ჯარის-კაცებს ხელწერილი ჩამოართვა, რომ, თუ საფრანგეთში მობილიზაცია მოხდა, პირველსავე დაბარებაზე გამოცხადდებითო.

მინსკი, 11 ივნისი. მინსკისა და ნოვგოროდის მაზრებში მინდვრის მუშა-გლეხები გაიფიცნენ გლეხები მოსულ მუშებს მუშაობის ნებას არ აძლევენ. ბევრს მამულებში დარაჯები დაყენებული. აგრარულს არეულობას მოელიან.

ლიბავა, 11 ივნისი. სანავტომროში ტუსაღები აჯანყდნენ. 8 საკანი დაანგრიეს. გარედან ხულიგნები ეშველებოდნენ. პოლიციამ წესიერება აღადგინა. 12 კაცია დაჭრილი. 4 სართულიანი სახლი აიღეს.

არტარსკი, 15 ივნისი. სათიბი ადგილები მთლად წახდა. შერემეტიევის სათიბი მინდვრები გლეხებმა თავისთვის გაითიბეს, დანილოვსკის, ქალაქის მიერ იჯარით გაცემული, სათიბიც თავისთვის მოითიბეს გლეხებმა.

ოდესა, 11 ივნისი. ოდესის მაზრის დაბებში, სოფლის მუშები გაიფიცნენ. ბევრი მემამულე სტოვებს კარ-მიდამოს. ზოგიერთ ადგას გლეხებმა გა[illegible] თავა თავისთვის წაიღეს, ზოგან საქონელი გაირეკეს. ჯარია დაბარებული.

კურსკი, 11 ივნისი თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ დაადგინა: ხელმწიფე იმპერატორს განსაკუთრებულის დეპუტაციის (საგუბერნიო წინამძღოლის) ხელით ადრესი აახლონ და იშუამდგომლონ, რომ საკანონმდებლო რჩევის მომცემ კრების წევრთა არჩევანი წოდებრივობაზე დამყარდეს; ამის გარდა, დეპუტაცია სთხოვოს ხელმწიფე იმპერატორს, რომ თუ იაპონია სახეირო პირობებზე არ დაგვთანხმდება, ომი განაგრძოთო.

კრემენჩუგი, 11 ივნისი. ის ხმები,ვითომც გაზეთი „იუჟნოე სლოვო“ სამუდამოდ მოსპობილიყოს, სიმართლეს მოკლებულია. ეს გაზეთი ცენზურამ მხოლოდ დროებით შეაჩერა და ივლისში ისევ გამოვაო.

ცარიცინი. დამე გადაიწვა ბუდქისა და ხილის დუქნები. ზარალი აუარებელია.

პარიზი, 11 ივნისი. ხმა დადის, რომ ავიღიონში, სამობილიზაციო დოკუმენტების დაკარგვის გამო, სერჟანტა გაბაწრეს. საქმის გამოძიება გენერალ საბატიეს მიენდო.

ათინა, 10 ივნისი (ჭავასი). კვლავ კრიზისია. მინისტრები ვერ დაიყოლიეს, ისევ დარჩენილიყვნენ, დელიანის მომხრეთა უმრავლესობა კარგის თვალით უყურებს რალის.

ბელგრადი. საარჩევნო აგიტაცია დღითი დღე იზრდება. ხმა დადის, – არც ერთს პარტიას არ გაუმარჯვია ხმის უმეტესობით, რის გამოც არჩევნების შემდეგ საქმის ვითარება უფრო გამწვავდებაო. სტამბოლში გაგზავნილმა სერბიის დესპანმა სიმიჩმა მოწერილობა მიიღო, ძველს ადგილს დაუბრუნდი, რადგან ოსმალეთისა და მონასტრის შორის განხეთქილება მორიგებით გათავდაო.

სევასტოპოლი, 11 ივნისი. სევასტოპოლს ნავთსადგურის საზღვაო სამხედრო სასამართლომ ხაზინადარ ფედოროვის საქმე გაარჩია, რომელსაც 20,000 მანათის გაფლანგვა ჰბრალდებოდა. ფედოროვს უფლებაც ღირსება და უფლება ჩამოართვეს და ერთის [illegible] საფლავის ქუჩაზე მომავალ პოლიციელს ხალხიდან ოთხჯერ ესროლეს რევოლვერი. ხალხი გაიფანტა. პოლიციელი საავადმყოფოში გარდაიცვალა. წვრილშვილი იყო.

სარატოვი, 11 ივნისი. პეტროვისა და ატკარის მაზრებში გახშირდა გლეხებისაგან ძალმომრეობით სხვის მამულებში თივის გათიბვა და მოძოვება.

თეირანი, 11 ივნისი. კალია მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთს ანადგურებს. ნიშაპურსა, სენზე, ვარსა და ტურბეტში. ორი მესამედი ნათესობისა განადგურებულია. საშიშილობას მოელიან. თეირანში პურის ფასმა ძლიერ აიწია.

პარიზი, 12 ივნისი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ გერმანიამ რუვიეს საპასუხო ნოტა გაუგზავნა, სადაც სთხოვს, საფრანგეთმა მაროკოს რეფორმების შესახებ უფრო გარკვეული და ზედმიწევნითი პროგრამა შეამუშავოსო. გერმანია ერთსა და იმავე დროს ორსავე სახელმწიფოს წარუდგენს განსახილველად თვითოეულს საკითხს, მადრიდის კონვენციის თანახმად. თუ საფრანგეთი ამ წინადადებას შეიწყნარებს, მაშინ გერმანია მზათაა კონფერენციაზე უარი განაცხადოსო.

პარიზი, 12 ივნისი (ჰავასი). ყველა გაზეთები ირწმუნებიან, საფრანგეთსა და გერმანიის შუა მოლაპარაკება ნორმალურის გზით მიმდინარეობს და ისეთს დასკვნამდის მიიყვანს, რომელზედაც ორივე სახელმწიფო დასთანხმდებაო.

ოდესა, 12 ივნისი. სმოსანთა კერძო რჩევამ მოსკოვში გამართულ ქალაქის მეშვეთა საერთო კრებაზე გასაგზავნად დელეგატები ამოირჩია.

კალუგა, 12 ივნისი. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა მინისტრთა კომიტეტის შემწეობით გაიგზავნოს უქვეშევრდომილესი ადრესი ხალხის წარმომადგენლების მოწვევის შესახებ. მოსკოვში გასაგზავნად ამორჩეულ იქმნა ხმოსანი გოლი რაზუმოვსკი. ქალაქის მოურავმა ბლისტანოვმა პირადი მიპატიჟება მიიღო.

ვარშავა, 11 ივნისი. დღეს, საღამოს ექვსს საათზე, ვორონცოვის და გრიჟბოვსკის ქუჩებთან ქრისტიან და ებრაელ მუშებისაგან შემდგარი ბრბო შეიყარა წითელის ბაირაღით. წინ მიეგება ჟანდარმთა ცხენოსანი პატრული, რომელსაც ყუმბარა ესროლეს. მოჰკლეს ერთი ცხენი, დაჭრილია ორი ჟანდარმი. ამავე დროს დევანშიაც მოხდა წითელის ბაირაღით მანიფესტაცია. ქალაქის დასავლეთ ნაწილში რამდენსამე ადგილას ბრბო იკრიბება. მცხოვრებლები ძალიან აღელვებულები არიან. ქარხნებში მუშები მთელი დღე გაფიცულები იყვნენ, მაგრამ გაზეთები მაინც გამოვიდა.

ბერლინი, 11 ივნისი. „ნორდდეიჩე“ მაროკოს საკითხის შესახებ ამბობს, რომ, რადგანაც რუვიეს ნოტა კონფერენციის შესახებ არც თანხმობას აცხადებს, არც უარს, საქმის მდგომარეობა ისევ გამოურკვეველი რჩებაო. ბიულოვმა დღეს საფრანგეთის ელჩი მიიღო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

13 ივნისი.

ტოკიო, 11 ივნისი. როგორც გაზეთები იტყობინებიან, იაპონელებს სამი ათასი რუსის ქვეითა ჯარი სამის ზარბაზნით ინჩენის რაიონიდან გაურეკიათ და ვანკოუძიდან ჩრდილოეთით მდებარე მანსაჩენძი დაუჭერიათ. იაპონელებისთვის მოუკლავთ 14, დაუჭრიათ 40. დახოცილი რუსები ბრძოლის ველზე დაარჩნენ. რუსების დანაკლისი 300 კაცს აღემატება.

ლონდონი, 11 ივნისი. ტოკიოდან ოფიციალურად იტყობინებიან, რომ კრეისერი „ბალიანი“ იაპონელებმა უკვე ამოიღესო.

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. იაპონიისგან გამოგზავნილი პირი იტყობინება, რომ ზოგიერთ კითხვების გამოკვლევამდე დროებით ზავის ჩამოგდებაზე შეთანხმება ყოვლად შეუძლებელიაო.

ვაშინგტონი, 11 ივნისი. რუზველტს დროებით ზავის ჩამოგდებაზე იმედი სრულებით დაეკარგა. ახლა მთელს თავის ძალ-ღონეს ამას ახმარებს, რომ როგორმე ომს სრულიად ბოლო მოუღოს. იაპონია ფიქრობს, რომ რუსეთი მოლაპარაკებას ჯარის გასაძლიერებლად აჭიანურებსო.

გუნჟულინი, 11 ივნისი. დღეს რუსეთში გაემგზავრა სასანიტარო ნაწილის უფროსად ნამყოფი გენერალი ტრეპოვი.

სიტიაზა, 11 ივნისი. რკინის გზის ლიანდაგის მარცხნივ ფრონტზე მტერი დავზვერეთ. მარცხენა ფრთეზე მზვერავი რაზმი მამაცურად ესვროდა სოფ. ნანგის. ანჩენზაში იაპონელებმა სამჯერ მოიტანეს იერიში, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ, იაპონელებს უნდოდათ ჩვენი დარაჯები მდ. ლიაოხესკენ გაერეკათ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ.

პარიზი, 12 ივნისი. იაპონიის მისსია ფორმალურად უარსა ჰყოფს იმ ხმებს, ვითომც მისსიის მდივანს რუსეთის ერთ-ერთ გაზეთის პარიზში მყოფ კორესპონდენტისათვის განეცხადებინოს რამ ზავის შესახებ.

სიტიაზა, 10 ივნისი. ამ ბოლო დროს იაპონელები ცდილობდნენ შეეტყოთ, საით უფრო სუსტობს ჩვენი ჯარები, რომ იქით მიეტანათ იერიში. ჩინელთა სიტყვით, იაპონელები ეშურებიან ჯარის შევსებას, განსაკუთრებით მარჯვენა ფრთეზე, კავამურის რაზმებში. მაშველი ჯარი უკვე მოვიდა. ეტყობა, ლიახე სამხედრო გზად დაუდვიათ იაპონელებს. ამ გზით განუწყვეტლივ მოეზიდებიან საარტილერიო მასალას და სურსათს, რომელსაც, უმთავრესად, თავს უყრიან ტელინის მახლობლად. ხმა დადის, იაპონელები ერთბაშს იერიშს აპირებენ ყველა პუნქტებზეო. პატარ-პატარა შეტაკება თითქმის ყოველ დღეა მთელს ფრონტზე. ჩინელები დაიმედებულ [illegible]

გოძიადანი, 10 ივნისი. იაპონიის ჯარის მარცხენა ფრთა მეტად დიდის მეცადინეობით და სიფრთხილით დავზვერეთ. ფრიად მაგარი სიმაგრეები აუგიათ, სამსართულიანი ბლინდაჟებით. ჩვენმა დაზვერამ იაპონელები საგონებელში ჩააგდო. კაიუანიდან ჯარის მომატება მოითხოვეს. ჩვენი მზვერავი რაზმები ღამე უკანვე გამობრუნდა.

ვაშინგტონი, 10 ივნისი. გენერალ-გუბერნატორის შუამდგომლობისა გამო ტაფტამ ენკვისტსა და დაჭრილ რუსის მეომართ პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა და ნება დართო, ამ დღეებში მოსასვლელ რუსის საავადმყოფო გემით გაემგზავრნენ.

პეკინი, 10 ივნისი. (რეიტერი) თიბეთის განხეთქილება მოარიგეს. ჩინეთმა ინგლისს 450,000 დოლარი გადაუხადა.

სახალინი, 11 ივნისი. საშინელი ნაკლებულობაა სურსათისა და უმთავრეს საჭირო ნივთებისა. მცხოვრებნი ჩალის ფასად ჰყიდიან სარჩო-საბადებელს და კუნძულს გაურბიან.

ჯიბუტი, 11 ივნისი. მოვიდა რუსების დამხმარე კრეისერი „დნეპრი“, რომელსაც მოჰყავს ჩაძირულ გემის „გილდას“ მეზღვაურები.

გოძიადანი, 11 ივნისი. მარცხენა ფრთეზე 8 ივნისს დავზვერეთ იაპონელები ჯარების ცინხეს ხეობაში. ნანმანძენძისაკენ გაგზავნილი რაზმი სამხრეთისაკენ გაიწია. იუფაილოუსკენ მიმავალ ჯარს წინ დაუხვდა იაპონელთა ძლიერი რაზმი და ამიტომ იძულებული შეიქმნა უკანვე დახეულიყო შანხენგოუსკენ. იაპონელებმა დაიჭირეს იულანძი. კორეაში ქალაქი შუშენი ორმა ბატალიონმა და ორასმა ცხენოსანმა დაიჭირა.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა 1905 წ. 10 ივნისის თარიღით: ჯარში ცვლილება არაა. ჩვენს მარჯვენა ფრთაზე იაპონელთა იერიშის მერე, რაც უკვე ვაცნობე თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, ახლა ფრონტს მოაშურეს რკინის გზის მარჯვნივ. 6 ივნისს, დილით, ჩვენმა კაზაკებმა შეამჩნიეს, რომ მტრის ჯარი გვქარბობდა და ნელა-ნელა უკან დაიხიეს. ამის შემდეგ ცხენოსანი ჯარი მოეშველათ და მტერს შეებრძოლნენ. იაპონელებმა სწრაფად უკან დაიწიეს სამხრეთისაკენ. დილით, 7 ივნისს, ჩვენმა მოწინავე ცხენოსანმა რაზმმა ძველი ადგილები დაიჭირა, მანდარინის გზისკენ. მტრის ცხენოსანს რამდენიმე ქვეითა რაზმიც მოსდევდა იერიშის დროს ად მეტად თავგამოდებით და ენერგიულად იბრძოდა. 6 ივნისს, დილის 10 საათზე, იაპონელები გუუშის მოესივნენ და არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ჩვენს სანგრებს, საიდანაც ჩვენმა რაზმებმა ჩრდილოეთისკენ დაიწიეს. 12 საათზე ერთი რაზმთაგანი უფრო უკან წავიდა და შიხუზას მაღლობებზე დაიბანაკა, მოწინავე რაზმები კი, მტრის მიერ დევნილნი, მანდარინის გზაზე ჯერ სოფ. სიაოგუს გაჩერდნენ, შემდეგ სამს საათზე სოფ. ლიალემიაოს სამხრეთისაკენ მოიყარეს თავი. საღამოზე ბრძოლა დასცხრა. შემდეგ გამოირკვა, რომ მანდარინის გზაზე, იაპონიის ორი პოლკი ქვეითა ჯარისა და ორიც კავალერიისა ტყვიის მტყორცნელ ზარბაზნებითა სამთო და საველე არტილერიით იბრძოდა; დასავლეთით—სამი ბატალიონით ერთი ესკადრონით და სამი ზარბაზნით. რადგანაც მანდარინის გზაზე იაპონელები ჩრდილოეთისკენ საკმაოდ წინ წავიდნენ, გადავსწყვიტეთ 7 ივნისს ჩვენ დავცემდით თავზე, რომ მოწინაღმდეგე ისევ ძველს პოზიციებზე გაგვერეკა და ჩვენს მოწინავე რაზმებს ძველი პოზიციები დაუჭერია. ამისთვის 7 ივნის [illegible] სოფ. მინხუალითვე თავს დავესხით იაპონელებს და სოფ. ცაოპინგანამდე უკან დავაწევინეთ. აქ კი მტერმა მედგარი ბრძოლა აგვიტეხა. ოთხი ბატარეია ჯერჯერით წამოაყენა წინ და დაგვიშინა. ეტყობოდა, თავგამოდებით ებრძოდა და ეს პოზიცია არ უნდოდა დაენებებინა. ამ მიდამოებში ჩვენის ჯარის გამოჩენამ შეა ვიქრიანა იაპონელები და ამ პოზიციებზე ჯარი მიაშველებინა. ჩვენი მიზანი აღსრულებულად მივიჩნიეთ და შებინდებისას უკანვე გამოვბრუნდით. ამ სახით, ის პოზიციები, რაც წინად იაპონელებმა ხელში ჩაიგდეს, ისევ დავიბრუნეთ. კორეაში, შიუშენის ჩრდილოეთ მხარეს, ჩვენმა ჯარმა 7 ივნისს იაპონიის ოცი ცხენოსანი შეამჩნია. ეს ცხენოსნები კენგშენიდან მოდიოდნენ.

გუნჟულინი, 11 ივნისი (საკუთ. კორესპ.). ბრძოლის ველზე ცვლილება არ მომხდარა. მთავარ-სარდალმა თავის შტაბის ახალი დროებითი შტატები დაამტკიცა. ხმა დადის, შტატნი საგრძნობლად შეამცირაო. ზოგი დაწესებულება სრულიად გააუქმა.

ბერლინი, 11 ივნისი. „კელნიშე-ცაიტუნგი“ უარჰყოფს ტოკიოს ცნობას, ვითომც გერმანიას ჩინეთიდან ჯარების გაყვანა სურსო. ჯარის გაყვანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე სახელმწიფო თანხმობას გამოაცხადებსო.

ტოკიო, 11 ივნისი. ოფიციალური. რუსებზე, რომლებსაც ნანშონჩენძის ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარე მაღლობი ეჭირათ, იაპონელებმა იერიში მიიტანეს და 9 ივნისს იქიდან გაჰყარეს, მაგრამ ერთმა ნაწილმა, რომელიც დასავლეთ გორაკებში ყოფილიყო ჩამალული, დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ბოლოს რუსები მაინც იძულებულნი გახდნენ ჩრდილოეთისკენ დაეწიათ. რუსებმა ორას კაცამდე დაჰკარგეს. იაპონელების დანაკლისი უმნიშვნელოა.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

კრეისერი „დნეპრი“. ცუსიმას ბრძოლის რამდენმამე კრეისერად გადაკეთებულმა სავაჭრო გემმა დააღწია თავი და რუსეთისკენ წამოვიდა. კრეისერი „დნეპრი“ გზაში ინგლისის სავაჭრო გემს „გილდას“ შეხვდა და დაღუპა. ამ ამბავმა ინგლისში ერთი აყალმაყალი გამოიწვია. „ტაიმსი“ სწერს: „დნეპრი“ რუსეთის სამხედრო ფლოტს არ ეკუთვნის და არც ბაზა აქვს. ამ გემის საქციელი არაფრი განიბრჩევა მეკორების (ზღვის ავაზაკთა) გემისაგან და ისე უნდა გასამართლდეს, როგორც ზღვის ავაზაკი. „გლობი“ სწერს: საკვირველია! რუსეთის ცემმა მხოლოდ იმიტომ დაღუპა ინგლისის სავაჭრო გემი, რომ რუსეთის გემს ზარბაზნები ჰქონდა, რომელიც იაპონელებთან ვერ გამოიყენა. ჩვენ მოგვწყინდა რუსეთის თავხედობა და დიპლომატიური მიწერ-მოწერა. რუსეთის მთავრობას არ უნდა, ან არ შეუძლიან თავის ქვეშევრდომთა ალაგმვა, და ამიტომ თვითონ ინგლისმა იარაღით უნდა დაიცვას თავისი ინტერესები (რ. ვ.).

ადმირალი ტოგო ბალტიის ზღვაზე აპირობს მოსვლას. ერთ ინგლისელ კორესპონდენტს იაპონიის მეზღვაურებთან უსაუბრნია. მეზღვაურებს უთქვამთ: ჩვენ წინდაწინვე გვქონდა გადაწყვეტილი, რომ როჟესტვენსკის ფლოტის განადგურების შემდეგ ბალტიის ზღვაზე გავჩნდებით და პეტერბურგსა, კრონშტატსა, ლიბავასა, რეველსა და სხვა ქალაქებს ალყას შემოვარტყამთ. ჩვენ ამით დავამტკიცებთ, რომ იაპონიის ფლოტსაც ისე კარგად შეუძლიან ევროპაში მისვლა, როგორც რუსეთის ფლოტი მოვიდა ია-[illegible] რიცხვებში რომ დაიძრას, 75 დღის შემდეგ, ე. ი. სექტემბრის გასულს, პეტერბურგს მიადგება (რ. ს.).

მანჯურიაში. „რუს. ვედ.“-ის ცნობილი სამხედრო მიმომხილველი ს. კ. ამტკიცებს, რომ გენ. ლინევიჩს უმთავრესად ოიამასაგან კი არ მოელის საფრთხე, არამედ გენ. ხასეგავასაგან, რომელიც ჩრდილოეთ-კორეაში ავიდა და რუსეთის ჯარს მარცხნივ მოექცა. ხასეგავას ჯარი თანდათან ჩრდილოეთისკენ მიიწევს და რუსეთის ჯარს უკანიდან უვლის. ნოგი თავის მხრით დასავლეთიდან უვლის ლინევიჩს. თუ ორმავე გენერალმა—ნოგიმა და ხასეგავამ—ლინევიჩის ზურგის უკან ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს, რუსეთის ჯარი სამუდამოდ დაიღუპა. რუსეთმა უნდა დაიჩქაროს დროებით მაინც ზავის ჩამოგდება, თორემ ხასეგავას მედგარ და გაბედულ გეგმას რუსეთი იარაღით ვერ ჩაშლის (რ. ვ.).

ზავის მოწინააღმდეგენი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს ატყობინებენ: ადმირალი ალექსეევი, კარის მინისტრი ფრედერიქსი, სამხედრო მინისტრი სახაროვი, ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი, პოლიციის მინისტრი ტრეპოვი, ადმირალი აველანი და ელჩი მურავიოვი დაჟინებით თხოულობენ ომის გაგრძელებას და ზავის მოწინააღმდეგენი არიანო (რ. ვ.).

რას ზიდავს ციმბირის რკინის გზა? „ბერლ. ტაგ.“-ის სიტყვით, მუკდენის ბრძოლის შემდეგ შორეულ-აღმოსავლეთში ერთი სალდათიც არ წაუყვანიათ. გზა განუწყვეტლივ მხოლოდ სამხედრო მასალასა და სურსათ-სანოვაგეს ეზიდებოდა (რ.).

ციმბირის გაზეთებში სწერია: გადაწყვეტილი იყო, რომ მაისში დღეში 50 მატარებელი უნდა გაეგზავნათ ჯარით ბრძოლის ველზე. ამის გამო სახალხო და საფოსტო მატარებლების მიმოსვლა შეაჩერეს. ახლა აღმოჩნდა, რომ დღეში 50-ის მაგივრად 10 მატარებელი მიდიოდა. სამაგიეროდ, 30 აპრილს მოსკოვიდან ჩიტაში სწრაფ-მატარებლით გაგზავნეს 42 ყუთი... ხატები და ჯვრები (რ. ვ.).

ზავი. დროებითი ზავი არ იქნება. იაპონიამ გადაჭრით მოსთხოვა რუსეთს, ფართო უფლებებით მოსილი წარმომადგენლები გამოგზავნეთ, რომ პირდაპირ ზავზე დავიწყოთ ლაპარაკი და არა დროებით მორიგებაზეო. ამის შესახებ „მორინგ პოსტ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონიის იმპერატორს მისმა მრჩევლებმა და მინისტრებმა პირდაპირ განუცხადეს, დროებითი მორიგება იაპონიისთვის საზარალოაო.

ლინევიჩი თითქმის მომწყვდეულია და კუროპატკინსავით თავს ვეღარ დაიღწევსო. მართალ ორ ამას დიდი გამარჯვება მიელის, მორიგებით კი, შეიძლება, საქმე გავაფუჭოთო (რ. ვ.).

ნიუ-იორკიდან „ბერ. ლოკ. ანც.“-ს ატყობინებენ: ცნობა მოვიდა, თუ რუსები და იაპონელები დროებით შერიგდნენ, ლინევიჩის ჯარმა ხარბინისაკენ უნდა დაიწიოს. სხვა პირობით იაპონელებს შერიგება არ უნდათ (რ. ვ.).

რუსეთმა მოითხოვა, მორიგების შესახებ წარმომადგენლებმა ფრანგულ ენაზე ილაპარაკონო. იაპონია არ დასთანხმდა და მოითხოვა, წარმომადგენლებმა იაპონურ ენაზე უნდა ილაპარაკონო. ბოლოს ორივენი ინგლისურ ენაზე შეთანხმდნენ. (რ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

12 ივნისი.

ქუთაისი. [illegible] დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მრავალი სამძიმრის დეპეშა მოვიდა. სიტყვები წარმოსთქვეს ქართულად, სომხურად და რუსულად. კუბოს სამოცი წითელ-ლენტებიანი გვირგვინი ამკობდა. თუმცა წვიმდა, მაგრამ კუბოს ფეხით დიდძალი ხალხი მისდევდა. პოლიცია არ ჩარეულა. დიდი წეს-რიგი სუფევდა.

ახალი ამბავი

გუშინ, 13 ივნისს, **ძმ. ზუბალაშვილების რწმუნებულმა აცნობა** ქალაქის გამგეობას, რომ ბ-ნნი ზუბალაშვილები სრულიად უარსა ჰყოფენ ქალაქის საბჭოს-მიერ შემოწირულ პირობებს მათ-მიერ აგებულ სახალხო სახლის გამგებლობის შესახებ.

✦ უკანასკნელ გაფიცვების დროს ქუთაისში ძ-ბმა არჯევანიძეებმა მაღაზიების დაკეტვა არ მოინდომეს, რისთვისაც შუშები ჩაუმტვრიეს. არჯევანიძეებმა დამნაშავენი პოლიციას წარუდგინეს, მაგრამ პოლიციამ რამდენისამე ხნის შემდეგ გაანთავისუფლა. ახლა რომელიღაც **ფარულ კომიტეტს არჯევანიძეებისთვის 100 მ. ჯარიმა დაუდვია** და ორი დღის განმავლობაში მაღაზიის გაღება აუკრძალავს (ნ. ო.).

✦ ნახიჩევანიდან არხ. მესროფი დეპეშით იტყობინება, რომ **საქმე თანდათან უფრო მწვავდება.** ქერმა მოიწია, მაგრამ მომკალნი არსად სჩანან; მცხოვრებლები ქალაქიდან იხიზნებიან. გემიურის თათრები მეორედ დაეცნენ, მაგრამ კაზაკებმა მოიგერიეს (ნ. ო.).

✦ **ბალახანაში გაჩენილან ვიღაცა პირები,** რომლებიც, თავის ტანისამოსის განსაკუთრებულ თვისებების გამო, ყველას ყურადღებას იქცევენ. თავზე მწვანე დოლბანდები (чалма) ხურავთ და გულზე რაღაცა ნიშნები აქვთ გაკეთებული. როგორც ვიცით, ამისთანა დოლბანდები უკანასკნელ სისხლის ღვრის დროს ნახიჩევანის მაზრაშიაც უნახავთ (ბაქო).

✦ ბაქოს ქალაქის მოურავს მოსკოვის ქალაქის მოურავი, თ-დი გოლიცინი, ატყობინებს, რომ **ქალაქების წარმომადგენლების კერძო რჩევა იწვევს მას 2 ორ წარმომადგენელ ხმოსანსაც.** ამის გამო მუსულმანთა ერთმა, **ჯგუფმა** დეპეშით აცნობა ტფილისში ხმოსანს თობჩიბაშევს, რომ მისი გაგზავნა სურთ, და სთხოვენ შეატყობინოს, იკისრებს თუ არა ამ წარმომადგენლობას (ბაქო).

✦ რადგანაც არსებული ქართული პრესსა ჯეროვან ადგილს არ უთმობს საეკლესიო საკითხებსაო, ქართლ-კახეთის სამღვდელოებას განუზრახავს თავისი გაზეთი დააარსოს. ამ ორგანოს სახელად „სიონი“ ერქმევა.

✦ შაბათს, 11 ივნისს, ეპისკოპოსი ორიოლისა კირიონი და ეპისკოპოსი იმერეთისა ლეონიდე **სადარბაზოდ იყვნენ ნემესტნიკის მეუღლესთან.** ნამესტნიკის მეუღლე დიდი ხანი ემუსაიფა და მუსაიფის დროს თავისი მეუღლეც დაესწრო.

✦ ამ დღეებში ქუთაისის ციხიდან **გაქცეულა ორი ტუსაღი:** ლავ. პიტნავა და არტემ ბაბაევი. (ნ. ო.).

✦ ბ-ნ ევანგულოვის-მიერ მიყენებულ შეურაცხყოფისა გამო, რომელმაც ქალაქის მოსამსახურეებს „დარმაედები“ უწოდა, დღეს, 14 ივნისს, **ქალაქის მოსამსახურეთა საზოგადო კრებაა დანიშნული.**

✦ **დღეიდან დ. კოჯორში დაიწყებს მოქმედებას ფოსტა-ტელეგრაფის** კანტორა; გასაგზავნად ყოველგვარი კორესპონდენცია მიიღება.

✦ ქალაქის ხორცის დუქნების 1904 წლის ანგარიშში ამ დუქნების გამგე კომისიის წევრმა ბ-ნმა ხერუმიანმა **სიყალბე შენიშნა.** აღმოჩნდა, რომ 1200 მანათი აკლია. ბუჰგალტერი ვ. ვარდანოვი გამოტყდა, რომ ეს ფული მას შემოხარჯვია. ამ ფაქტის აღმოჩენის შემდეგ ხორცის დუქნების გამგე კომისიამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, დანიშნოს სასტიკი რევიზია.

✦ **ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიის მთავრობამ განიზრახა** ამ სასწავლებელთან საფოსტო-სატელეგრაფო კურსების დაარსება. კურსები უნდა გაგრძელდეს 9 თვე და ამ გიმნაზიის მოწაფე ქალები მოამზადოს მეხუთე და მეოთხე ხარისხის ფოსტის მოხელეთა თანამდებობაზე. ეს პროექტი, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი-

---

ფელეტონი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაცია

(სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს პროექტის გამო)

რამდენიმე სიტყვა თანამედროვე სკოლის შესახებ.

მოზარდ-თაობის სწავლა-აღზრდის საქმე არსებითს და პირველხარისხოვან საგანს შეადგენს ყველა განვითარებულ ქვეყნებში. ჩვენში განსაკუთრებით მწვავე საგნად გადაიქცა ეს საკითხი ახლანდელ გარდამავალ ხანაში იმ საყურადღებო მოვლენათა შემდეგ, რომელიც ჩვენმა სკოლებმა გამოიარეს და რომელთა მოწმე ჩვენ ვიყავით წელს. ყველას მოეხსენება, რომ სკოლამ შესწყვიტა თავისი ჩვეულებრივი მსვლელობა—გზას გადაუხვია და ჯერ კიდევ გზა-ჯვარედინზეა. მართალია, ახალგაზდობის პირველი აფეთქება დაწყნარდა თუ არა, სკოლამ თითქო თავის სიცოცხლის ნიშან-წყალი იჩინა კიდეც, მაგრამ ეს მხოლოდ ნიშან-წყალი იყო, კონვულსიური მოძრაობა: ახლაც არ არის სკოლაში დამყარებული ნორმალური ცხოვრება, არ არის გამთელებული ის იარა, რომელიც სკოლის სხეულში გარდაიხსნა.

რა თქმა უნდა, ამისთანა დიდს მოვლენას თავის შესაფერი მიზეზებიც უნდა ჰქონდეს. შემცდარნი არიან ისინი, ვისაც ეს მოვლენა შემთხვევით, ჩქარა-წარმავალ მოვლენად მიაჩნიათ და ამის მიზეზად გარეშე პირთა ქადაგება და მოზარდ თაობაში „მავნე“ იდეების დანერგვა ჰგონიათ. იდეა თავისთავად, როგორც უნდა იყოს იგი, არსად და არასოდეს არ ყოფილა მოძრაობისა და გარდაქმნის მიზეზი,—იგი მხოლოდ უმთავრეს იმპულსად შეიძლება იქმნეს, და ამითივე თავდება იმისი მნიშვნელობა და როლი. ხალხის მოძრაობისა და ცხოვრების შემცვლელი მიზეზი დამარხულია თვით ცხოვრების პირობებში, იმის პოლიტიკურსა და ეკონომიურ წეს-წყობილებაში.

სად არის სკოლებში ახლანდელ მოძრაობის მიზეზი, სადაა ის ატმოსფერა, რომელმაც ასეთი მძლავრი გულის-წყრომა შეჰქმნა და ასე გაერთიანებულის ხმით იგი მოზარდ თაობას წამოაძახებინა? არ შევეხები ამ მოვლენის საზოგადო მიზეზებს, რომელნიც აწინდელ პოლიტიკურ წეს-წყობილებაში მოიპოვებიან,—იმ მიზეზებს, რომელნიც შესაფერად და ღირსეულადაც დააფასეს უკვე. ამჟამად ჩვენთვის უფრო საჭიროა სხვაცვარი მიზეზების გამოკვლევა,—შინაურ მიზეზებისა, რომელიც მთელის ჩვენის სკოლის სისტემის საფუძველია. ეს საფუძველი, შეიძლება სახელმწიფო წეს-წყობილების შეცვლის შემდეგაც დარჩეს და სკოლა წინანდებურად დაშორებული იქმნეს ნორმალურ მდგომარეობას. ამის მაგალითი ბევრია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, რომელთა პოლიტიკური წეს-წყობილება ჩვენთვის დღეს დიდად სასურველი გამხდარა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწავლა-განათლების საქმე-კი ახლანდელს მდგომარეობაში იქ დიდ გაკიცხვას იწვევს საზოგადოების მხრივ.

ჩვენი სასკოლო სისტემის პრინციპები ძირითადად ეწინააღმდეგებიან პედაგოგიის გონივრულ მოთხოვნილებათ. ეს პრინციპები უმთავრესად შემდეგ ოთხ მუხლში გამოიხატება: 1) პროგრამა მეტად ვრცელი და მრავალ-საგნებიანია; 2) მოსწავლეთა პირად თვისებათა თავისუფალი განვითარება განდევნილია,—მოსწავლეთა ინდივიდუალურ თვისებათ სრულებით ათანასწორებენ; 3) ეგზამენები და ამათთან დაკავშირებულ სხვადასხვა უფლებიან ატესტატებისა და დიპლომების მიღება და 4) ესტეტიურისა და ფიზიკურ განვითარების განდევნა.

აი, ის საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია დღევანდელი სკოლა, რომელიც ასულდგმულებს მას და რომელიც ამასთანავე ამახინჯებს მთელს მოზარდ თაობას. ეს არის პრინციპები ჩვენის სკოლისა, რომლის საკურთხეველზე ასობითა და ათასობით მიჰყავთ შესაწირავად ჩვენი ახალგაზდობა და რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად დღეს გამოსულა საზოგადოების საუკეთესო ნაწილი როგორც ჩვენში, ისე დასავლეთ ევროპაშიაც.

ისიც კმარა, მარტო საგნების სახელები ჩამოვთვალოთ, რომ გაოცებას მიეცეს მკითხველი, ხოლო, თუ მათი შინაარსიც გავიცანით, მაშინ ხომ წარმოდგენაც გაგვიძნელდება, თუ როგორ უნდა შეითვისოს მოსწავლემ ამდენი ძნელად შესათვისებელი და გამოუსადეგარი მასალა. ყოველმა კეთილსინდისიერმა და გულწრფელმა მასწავლებელმა უნდა აღიაროს, რომ იგი თავისს მოვალეობას ვერ ასრულებს, თავისს მოწაფეთ ვერ აძლევს იმ ცოდნას, რომელსაც ისინი მისგან მოელიან. ყმაწვილი 5—6 საათი ზის გამტვერიანებულ საკლასო ოთახში; სრულებით მოდუნებული და მოწყვეტილი მიდის შინ მიცემულ გაკვეთილების მოსამზადებლად; ერთ საგნიდან მეორეზე გადარბის და არ შეუძლიან თავისი გულისყური ერთ-ერთზე გააჩეროს. ის ცოდნაზე აღარ ჰფიქრობს,—უაზროდ იზეპირებს რაღაც ცნობებს მხოლოდ იმისათვის, რომ მასწავლებელს როგორმე ნიშანი „3“ დასტყუოს; დღითი-დღე იგი სიზიფის ქვას აგორებს და თავისს ძალ-ღონეს უმნიშვნელო შრომას ალევს. ეს შრომა მით უფრო უძნელდება ჩვენს ბავშვებს, განსაკუთრებით დაბალ კლასებში, რომ საგნებს უცხო ენაზე მექანიკურად ითვისებენ; პირადი მიდრეკილებანი, ნიჭი ყმაწვილისა იხლუნგება და თითქმის არა აქვს საშუალება თავისუფლად განვითარებისა; იგი მოვალეა ერთნაირად მცოდნე იყოს ისტორიისა, მათემატიკისა, ძველისა და ახალის ენებისა და სხ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საშინელი მომავალი მოელის,—სასწავლებლიდან გამოგდება და ქუჩაში ხეტიალი. მათემატიკაში დიდის ნიჭის, მაგრამ იმავე დროს სიტყვიერების საგნებში სუსტ ყმაწვილს ახლანდელს სკოლაში ადგილი არა აქვს, რადგან იქ პირადი თვისებებისა და ნიჭის განვითარებას არა აქვს გზა,—იქ ყველას ერთნაირად აგუნდავებენ და დამპალის ატმოსფერით ადამიანის სულის თავისუფალ აღმაფრენას სჩაგრავენ. ყველა ეს იქიდან წარმოსდგება, რომ ახალგაზდამ რამდენისამე ეგზამენის შემდეგ უნდა მიიღოს ატესტატი, დიპლომი, ვითომდა იმის გონებრივ განვითარების მომწიფების ნიშნად,—იმის ნიშნად, რომ აუარებელ საგნებში საკმარისად შეიძინა ცოდნა.

ამ უკუღმართ წესწყობილების წყალობით, ას მოსწავლეში პირველ კლასიდან მხოლოდ ხუთი, ან, იქნება, ნაკლებიც ძლივს თუ მიაღწევს ბოლო კლასს და იღებს სასურველ ატესტატს, რომლის შემწეობით მერე გზა ეხსნება ყველა უმაღლეს სასწავლებლისაკენ. 95 პრ. მოსწავლისა კი ჩვენი სკოლის გერებად რჩებიან. მერე რამდენი ნიჭიერი ყმაწვილი იღუპება ამ გზით!.. მაგრამ ამ 95 პროც. ახალგაზდებს მშობლები ჰყავთ და ეს მშობლები ისე ადვილად და გულ-გრილად ვერ განიშორებენ თავიანთ შვილებს, როგორც ამას სკოლა შვრება ხოლმე. მერე რა მძიმესა და სატანჯველ საგონებელს უნდა მიეცეს მშობელი, როცა უნდა შეეცადოს თავისს „გამოუსადეგარ“ შვილს სადმე ადგილი მოუძებნოს!

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. სკოლა თავისს მოწაფეს არა თუ ცოდნას არ აძლევს, არა თუ გზას ულობავს არსებობისათვის ბრძოლაში შესაფერად თავი გაიტანოს, არამედ აბეჩავებს კიდეც ფიზიკურად და სრულიად ხელს არ უწყობს მის ესტეტიურ განვითარებას. განა შეიძლება გონიერ ფიზიკურ განვითარებად ჩაითვალოს ის სამხედრო წრთვნა, რომელიც უმეტეს ნაწილად დახშულ ოთახში სწარმოებს ხოლმე! როგორ უნდა მოურიგდეს კაცი იმ გულის ალმაშფოთებელ მდგომარეობას, რომელშიაც სიმღერისა და მუსიკის სწავლების საქმეა დაყენებული ჩვენს სკოლებში და რომელიც მხოლოდ იმისთვისაა შემოღებული, რომ წლიური აქტი დიდებულად გამართონ, ან სხვა რომელისამე შემთხვევისათვის გამოიყენონ, და არა იმისათვის, რომ ყმაწვილს ესტეტიური განვითარება მისცენ.

აი, მოკლედ ჩვენი სკოლის სავალალო შედეგი, რომელსაც ჰღაღადებენ თვით პედაგოგები ექიმები, პროფესორები, რომელნიც მეტად გაოცებულნი არიან იმ ორიოდე ბედნიერთა განუვითარებლობით, რომელთაც უნივერსიტეტებში შესვლა ეღირსებათ ხოლმე. ამიტომ საჭიროა, მთელის ჩვენის ძალ-ღონით შევებრძოლოთ ახლანდელ სკოლას, რათა შევქმნათ ახალი იმ პრინციპების თანახმად, რომელნიც ახლანდელ სკოლის საფუძველს პირდაპირ ეწინააღმდეგებიან. ეს პრინციპები შემდეგია: 1) სკოლაში სასწავლო საგნები, რაც შეიძლება, ცოტა უნდა იქმნეს, ისიც ზომიერის შინაარსისა; საგნები სამშობლო ენაზე უნდა ისწავლებოდეს და მოსწავლეს ნამდვილ ცოდნას აძლევდეს. 2) სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის ინდივიდუალურ ნიჭის განვითარებას და ამ შემთხვევაში მასწავლებლის მოვალეობაა, მოხერხებულად უწინამძღვროს და მოჰმართოს ნიჭი ყმაწვილისა; 3) ვინაიდან განსაკუთრებული დანიშნულება სკოლისა ყმაწვილის სწავლა აღზრდის განვითარება იქმნება, სკოლამ არავითარი ატესტატი არ უნდა მისცეს მოსწავლეს, ამისათვის არც ეგზამენებია საჭირო, და მასწავლებელი მოვალეა კლასიდან კლასში უამისოდ გადაიყვანოს, თუნდაც რომელსამე საგანში სუსტიც იქმნეს მოსწავლე, და 4) სკოლა მოვალეა ყოველივე საშუალება იხმაროს და თავის მოსწავლის ესტესტიურსა და ფიზიკურ განვითარებას ხელი შეუწყოს. მხოლოდ ამ პირობებში შეუძლია სკოლას თავისი პირდაპირი მოვალეობა განახორციელოს, ე. ი. მოსწავლის სულიერი და ფიზიკური ძალები ჰარმონიულად განავითაროს.

მე საჭიროდ დავინახე გაკვრით მაინც შევხებოდი საშუალო სკოლის დღევანდელ მდგომარეობას, იმის პრინციპებს და იმ ძირითად ცვლილებებს, რომელიც ამ სკოლაში უნდა მოხდეს, რათა თავისი დანიშნულება შეასრულოს. აი, ამ გზით განვიხილავთ ჩვენ იმ პროექტს, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაციას შეეხება და რომელიც ამ სკოლის პედაგოგიურმა რჩევამ შეადგინა იმ განზრახვით, რომ ამ სკოლის სწავლა-აღზრდის საქმეში ვითომ ზოგი რამ ცვლილება შეეტანა.

იაკობ ღულაძე.

გერმანიის ცხოვრება და მეურნეობა

ფრანგების ძველი ანდაზა ამბობს: „დამისახელე შენი ნაცნობები, და მაშინ გეტყვი, შენ თვითონ ვინცა ხარო“. გერმანელებსაცა აქვთ ასეთი ანდაზა, მაგრამ შემდეგის დამატებით: „მითხარი რითი და როგორ ერთობი, და მაშინ გეტყვი, რა კაციცა ხარო“. ის უცხოელნი, რომლებიც ამ დღეებში გერმანიის კრონპრინცის ქორწინებას დაესწრნენ, იმედია, ვერ იტყვიან—გერმანელებს გართობა არ უყვართო, ვინაიდან ის სანახაობანი, რომლებიც ამ ქორწინების გამო გაიმართა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან მოწონების შემდეგ, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს ბ-ნ ლინდნეს განსახილველად წარუდგინეს.

◆ კვირას, 12 ივნისს, **დაბრუნდა სამწყსოში** იმერეთის **ეპისკოპოსი ლეონიდი.**

◆ **„ნაშა ჟიზნ“-ი სწერს:** გუშინ ტფილისიდან ადგილობრივმა საბჭომ შეგვატყობინა თავისი დადგენილება: 1) გამოეცხადოს უღრმესი თანაგრძნობა ქართველ სამღვდელოებას იმ ძალადობისთვის, რომელიც ადმინისტრაციამ ამ სამღვდელოების წარმომადგენლებს მიაყენა, 2) გამოეცხადოს აგრეთვე თავისი ზიზღი თვით ადმინისტრაციას, რომელმაც საშინლად შეურაცხჰყო ქართველ სამღვდელოების წარმომადგენლები, 3) ტფილისის ქალაქის საბჭოს სახელით სამღვდელოებას გაეგზავნოს ადრესი თანაგრძნობისა და გულმტკივნეულობისა ამ საშინელ მხეცობის გამო, 4) შეატყობინონ რუსეთის, და უცხოეთის ყველა უმთავრესს გაზეთებს ტფილისის ქალაქის საბჭოს უღრმესი მწუხარება იმის გამო, რომ ტფილისში მოხდა ისეთი საქმე, რომელიც მთელს განათლებულ კაცობრიობას ძრწოლაში მოიყვანს, 5) აღიძრას შუამდგომლობა მოსასპობად პოლიციურ ზომების მიღებისა მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ; აღინიშნოს, რომ აღელვებულ კავკასიის დამშვიდება შეიძლება მხოლოდ დაპირებულ რეფორმების დაუყოვნებლივ განხორციელებით, 6) ეთხოვოს კავკასიის უმაღლესს მმართველს, ქალაქის წარმომადგენლების თანადასწრებით, დაინიშნოს სასტიკი გამოძიება იმ მიზეზისა, რომელმაც გამოიწვია ამისთანა ზომები ქრისტეს ჯვარის წარმომადგენლების წინააღმდეგ, 7) ნიშნად უღრმეს მწუხარებისა, რომელიც იგრძნო ყველამ, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, ქართველ სამღვდელოების წინააღმდეგ მიმართულ მხეცურს ზომები გამო, კრება დაიხუროს.

◆ შაბათს, 11 ივნისს, მეშვიდე საპოლიციო უბანში, გალუსტ აპრელოვმა რევოლვერით მძიმედ დასჭრა სოფელ პატარძეულის მცხოვრები ივანე გიუნაშვილი.

◆ ტფილისის გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილების დარღვევისა გამო ხუთი თუმნით დააჯარიმა მეცხრე უბნის მცხოვრებნი თევდორე ნადირაძე და ალექსი მეტრეველი და ერთი თუმნით—პავლე იაგოროვი.

◆ როგორც სურამიდან გვატყობინებენ, იქ გაუტეხიათ სომხეთა წმ. გრიგოლის ეკკლესია. წაღებულია ძვირფასი ნივთები და ფული, სულ 1500 მანათისა.

◆ როგორც სადგურ სკრიდან გვატყობინებენ, 6 უცნობი ბოროტ-მოქმედი თავს დაესხა რკინის გზის ფარდულს და აპირებდა შიგ მცხოვრებთა გადაწვას, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ.

◆ შაბათს, 11 ივნისს, სადგურ გრაკალზე, სახალხო მატარებელს ქვეშ მოჰყვა გიორგი ბეგლარიშვილი და გაისრისა.

◆ კვირას, 12 ივნისს, ტფილისის სადგურზე, მანევრების დროს, მატარებელ ქვეშ მოჰყვა მეისრე ვასილ ჩიტაძე და გაისრისა.

პრესსა

«ახალ მიმოხილვის» უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია ერთი პატარა წერილი ბ-ნ გ. თ.-ისა, რომელშიაც ავტორი სომხებსა და თათრებს შორის არსებულ გამწვავებულ ურთიერთობას ეხება და, სხვათა შორის, ასეთ სიბრძნეს გამოსთქვამს:

> სურვილს აცხადებენ, რომ იმ რაიონებში, სადაც ხოცვა-ჟლეტა მოხდა, საპასუხისმგებლო თანამდებობა მხოლოდ ნეიტრალურ ეროვნებათა წარმომადგენლებს მისცენო, ე. ი. ქართველებს, რუსებს და სხვ., თითქო აქამდის ცოტანი ყოფილიყვნენ ეს ნეიტრალური ელემენტები. ნამდვილად კი ეს ელემენტები უძლურნი აღმოჩნდნენ ხალხის სტიქიურ მღელვარებასთან ბრძოლაში. ამ ნეიტრალურ ელემენტთა სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ იცნობენ ადგილობრივ ცხოვრებას და უნებლიედ ემორჩილებიან ადგილობრივ—უმეტეს ნაწილად ცალმხრივ—გავლენას... უბედურება ის კი არაა, რომ ადმინისტრაციაში რამდენიმე ადგილი უჭირავთ თათრებს, არამედ უფრო ის, რომ მათ გვერდით ვერ ვხედავთ სომხებს...

ჩვენ, რასაკვირველია, არავითარ მნიშვნელობას არ ვაწერთ ამ შემთხვევაში ჩინოვნიკების ეროვნებას, ვინაიდან თითოეული ადმინისტრაციის მოხელე, უპირველეს ყოვლისა, აღმასრულებელია კარგად ცნობილ პოლიტიკურ რეჟიმის დავალებისა და მისი გვარტომობა აქ სიტყვაზე მოსატანი არაა. ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო,—პირიქით, მომხრე ვართ, რომ კავკასიაში სომხებს ისე, როგორც სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, დაუბრკოლებლად აძლევდნენ სხვადასხვა თანამდებობას ადგილობრივ ცხოვრების მართვა-გამგეობაში, რადგან ამას მოითხოვს პრიციპი თანასწორობისა და, თუ ჩვენ ბ-ნ გ. თ.-ის ზემო აღნიშნული სიტყვები გადმოვბეჭდეთ,—არა იმიტომ, ვითომ წინააღმდეგი ვიყოთ მისი სურვილის,—ადმინისტრაციაში სომეხთა ელემენტის გამრავლებისა,—არამედ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ავტორის ლოღიკურ მსჯელობის ღირსებაზე მივუთითოთ ჩვენს მკითხველებს.

იგი ბრძანებს, რომ „ნეიტრალიტური ელემენტები ადგილობრივ ცალმხრივ გავლენას ემორჩილებიანო“ და ეს „დამორჩილება“ აღარ იქნება, თუ მოხელეებად სომხებს დანიშნავენო, თითქო ესენი ცაზე ცხოვრობდნენ და არა შუაგულ იმ ატმოსფერაში, სადაც აღელვებაცაა და „გავლენაც“.

ბ-ნი გ. თ.-ი არა გრძნობს, რომ თავის სიტყვებით იგი ,,დათვურ მეგობრობას'' უწევს სომხობას: ნეიტრალურ ელემენტებს ნუ ნიშნავენ ადმინისტრაციაში, რადგან ისინი სომხების წინააღმდეგ გავლენას ემორჩილებიანო. არ იკითხავს მკითხველი: რატომ უეჭველად სომხების საწინააღმდეგო ,,გავლენას'' უნდა დაემორჩილონ ეს ,,ელემენტები'' და არა იმ ,,გავლენას'', რომელიც თათრების საწინააღმდეგო იქნებაო?..

არის ერთი სენი, რომელსაც „დევნულობის მანიას“ უწოდებენ. ამ სენით შეპყრობილი ადამიანი დარწმუნებულია, რომ მას ყველა სდევნის, რომ მის წინაიღმდეგ ყველა ამხედრებულია. ბ-ნი გ. თ.-ი ამგვარ ადამიანს მოგვაგონებს. მას ყოველთვის სომხების მდევნელები ებლანდება და საკმარისია, მას, სომეხს, რაიმე აზრში არ დაეთანხმოთ, რომ მაშინვე სომეხთა «ფობად» (მოძულედ) გამოგაცხადოთ, ვინაიდან—ასე ფიქრობს ეს ახირებული კაცი—თქვენ არ ეთანხმებით მას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ,,ფობობის“ საგნად გამხდარ ეროვნების წარმომადგენელია.

ამბობენ, ეს სენი ძნელი გასაკურნებელიაო...

წერილი პარიზიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

დელკასე გამოეთხოვა თავისს პორტფელს და გარეშე საქმეთა სამინისტროში სამსახურს თავი გაანება. შვიდი წელიწადი მეთაურობდა ამ სამინისტროს, შეცდომა შეცდომაზე მოსდიოდა, მაგრამ ისეთი მოხერხებული და განდიდებული იყო, რომ თვით პარლამენტსაც კი ნებას არ აძლევდა ჩარეულიყო მის საქმეში და მის მოქმედებისათვის კონტროლი გაეწია. სარგებლობდა რა ბ-ნ ლუბეს მომხრეობითა და მფარველობით, დელკასე ზედიზედ დარჩა წევრად ბრისონისა, დიუპუისა, ვალდეკ-რუსოსა და რუვიეს კაბინეტებისა.

ახირებული ხასიათი ჰქონდა პოლიტიკაში ამ დემოკრატ მინისტრს: შეკითხვაზე პასუხს არავის აღირსებდა ხოლმე. იგი ექვემდებარებოდა პალატას, მაგრამ თვით პალატასაც კი ნებას არ აძლევდა მის პორტფელში ჩაეხედნა. უფრო მეტსაც ვიტყვით: დელკასეს მინისტრობის დროს არა ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ თავის ამხანაგებისათვის რჩევა-დარიგება ეკითხნოს.

დეპუტატები, სენატორები და მინისტრები მთელ შვიდს წელიწადს გულუბრყვილო პატივისცემით ეპყრობოდნენ მის საიდუმლოებით მოცულ პოლიტიკას, და დღევანდლამდისაც შერჩებოდა ეს პატივისცემა, სამწუხარო შედეგებს რომ თავი არ წამოეყო და ყველასათვის თვალსაჩინო არ გამხდარიყო ყალბი, დიდების-მოყვარეობასა და წინდაუხედაობაზე დამყარებული, პოლიტიკა საფრანგეთის გარეშე საქმეთა მეთაურისა.

დღეს კი დელკასეს ყველამ ზურგი შეაქცია და ის კაცი, რომელსაც პარლამენტი და მთავრობა აქამდე გუნდრუკს უკმევდა,—კვარცხლბეკიდან გადმოაგდეს. ასე უხეიროდ დაასრულა თავისი პოლიტიკური სიცოცხლე ბ-ნმა დელკასემ. იგი მოკვდა მას შემდეგ, რაც გერმანიის იმპერატორმა კარი შეაღო საფრანგეთ-ინგლისის კავშირისა და ამ გზით მაროკკოში გაჩნდა.

დელკასეს პოლიტიკის გასაცნობად, საჭიროა გავითვალისწინოთ ინგლის-საფრანგეთის დაკავშირების შინაარსი.

დელკასეს ძლიერ უნდოდა აღემაღლებინა თავი თვისი და, აი, ამიტომაც გამონახა „მშვიდობიანი გზა“ მაროკკოს ხელში ჩასაგდებად. ხოლო, რომ განეხორციელებინა თავისი განზრახვა და ამ „მშვიდობიან გზაზე“ წინ არავინ გადაჰღობებოდა, დელკასემ ინგლისთან მოლაპარაკება გამართა და მომხრეობისთვის ეგვიპტე აღუთქვა. ინგლისს მაროკკოში არა გააჩნდა-რა და რა ენაღვლებოდა, ეს „არაფერი“ საფრანგეთისათვის ეჩუქებინა, მით უმეტეს, რომ ინგლისი ძალზე მოგებული რჩებოდა.

ამგვარად, 1904 წლის აპრილში, საფრანგეთსა და ინგლისს შორის მოხდა l'entente cordiale (გულითადი შეთანხმება). ინგლისის სასარგებლოდ საფრანგეთმა ეგვიპტეში ხელი აიღო თავის უფლებებზე და ინგლისმაც, თავაზიანობისა და მადლობის ნიშნად,—მაროკკოში საფრანგეთის უპირატესობა აღიარა. მართალია, მაროკკოს საქმეებში გერმანიაც იყო დაინტერესებული, მაგრამ დელკასემ საჭიროდ არა სცნო, ამ გარემოებისათვის ანგარიში გაეწია.

რაკი ასე მშვენივრად შეასრულა თავისი განზრახულება, დელკასემ სულთანის იმპერია თავის საკუთრებად ჩასთვალა და, როგორც ბატონმა, მაროკკოში რეფორმების შემოღებაც დაიწყო.

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება, რომელსაც რესპუბლიკის დემოკრატია სიხარულით მიეგება და რომელიც ქვეყნად მშვიდობიანობის დამამყარებლად ჩასთვალა, საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ვიწრო და კადნიერ განზრახულებათა მეოხებით, გერმანიის საწინააღმდეგო იარაღად გადაიქცა. დელკასეს უნდოდა გერმანიის აბუჩად აგდება, მისი დამცირება მთელის ევროპის თვალში და ვითომ მიაღწია კიდეც ამ მიზანს.

მაგრამ დიდხანს ვერ დასტკბა ბ-ნი დელკასე თავის გამარჯვების ნაყოფით. მისი ქედ-მაღლობა მალე შემუსრა გერმანიამ და, როდესაც შესაფერი დრო მონახა, ხმა-მაღლა გამოაცხადა: „რადგანაც საფრანგეთმა ინგლისს მიჰმართა და მაროკკოში დამყარების ნებართვა აიღო, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მაროკკოს თავისად არა სცნობდა,—მაროკკო საერთაშორისო ყოფილა. ამ საერთაშორისო ქვეყნის დაყოფის დროს კი მე დამივიწყეს, მაგრამ მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ და ძალით დავიჭერ იმ ადგილს, რომელიც ჩემთვის ბ-ნ დელკასესა ჰშურსო“.

ამის შემდეგ თვით გერმანიის იმპერატორიც გაემგზავრა ტანჟერს და იქ ყველას გასაგონადა სთქვა: „თავისუფალ მაროკკოში არავის უპირატესობის ხელი არა აქვს. გერმანიასაც ისეთივე ადგილი უნდა ეჭიროს, როგორიც სხვა სახელმწიფოებს უჭირავსო“.

გერმანიის იმპერატორის მოგზაურობას მაროკკოში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. შერიფის ქვეყანა მას მიეგება, როგორც თავისს განმათავისუფლებელს საფრანგეთის კლანჭებიდან, და რესპუბლიკის წარმომადგენლებს ამ დღიდან სულთანმაც სულ სხვა ჰანგზე დაუწყო სიმღერა. ეს დღე შეიქმნა დელკასეს დაღუპვის დღედ, მის ძლიერებას ლილა გაუცვდა, გაკოტრდა.

დელკასეს საქციელმა მთელი საფრანგეთი აალაპარაკა, ააყაყანა, მის სამართლიან გულისწყრომას საზღვარი არა ჰქონდა, მთელი საფრანგეთი თხოულობდა დელკასეს სამსახურიდან დათხოვნას და დელკასემაც ქაღალდი შეიტანა: სამსახურიდან დამითხოვეთო. ეს მოხდა 21 აპრილს. მაგრამ ეს მხოლოდ დელკასეს დიპლომატიური ხერხი იყო. იმან კარგად იცოდა, რომ ბ-ნი ლუბე მას დაიფარავდა! და აკი ისეც მოხდა. რუვიე იძულებული შეიქმნა პრეზიდენტის სურვილი აესრულებინა.

დელკასემ შეინარჩუნა თავისი პორტფელი, მაგრამ იგი იძულებული გახდა დამორჩილებოდა რუვიეს ზედამხედველობას და აღუთქვა, რომ შემდეგში, კაბინეტის მეთაურის დაუკითხავად, ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამო.

ამასობაში მაროკკოს შესახებ საკითხი დღე-და-დღე უფრო გამწვავდა, ხოლო იმპერატორის ტანჟერში მოგზაურობამ ამ ცეცხლს ნავთი დაასხა და საფრანგეთს პირდაპირ მტრულის თვალით დაუწყეს ცქერა. დელკასემ აღარ დაახანა და საპარლამენტო წრეებში ვილჰელმს გამტყუნება დაუწყო: „ყველაფერი იმპერატორის თვითმოყვარეობისა და მის ეგოიზმის ბრალია, მე შეცდომა არა ჩამიდენია-რა, და ბ-ნმა ბიულოვმა და ვილჰელმა მიზანში ტყუილად ამომიღესო“.

მაგრამ გათენდა 23 მაისი და დელკასეს დიდგულობას ბოლო მოეღო. მისი დიპლომატიურ შენობის უნიადაგობა და სიყალბე ყველასათვის დასანახი შეიქმნა. ფეცში მყოფ გერმანიის ელჩის ბარონ ტატენბახის ზეგავლენით, მაროკკოს სულთანმა საფრანგეთისაგან ნაჩვენები რეფორმები უარჰყო და საქმის გადაწყვეტა საერთაშორისო კონფერენციას მიანდო.

ეს ამბავი ელვასავით მოედო მთელ საფრანგეთს და ფეხზე დააყენა. მთელი დღე, 24 მაისს, მღელვარება არ შემწყდარა. დეპუტატები პალატიდან გამოდიოდნენ და მის კორიდორებში ბჭობდნენ გარეშე საქმეთა შესახებ. ყველა შიშსა და უნუგეშობას გრძნობდა. ერთი მეორეს შეძრწუნებული ეკითხებოდა: ,,რა იქმნება შემდეგ, რითი გათავდება გერმანიასთან განხეთქილებაო?''

ამას ზედ დაერთო ის ხმაც, რომ მაროკკოს საქმეთა გამო ჟორესი და კლემანსო შეკითხვას აპირობენო, და ყველა ბრძოლამ მოიცვა, არ იცოდნენ, რა შედეგი მოჰყვებოდა გაცხარებულ კამათს. გული ცოტათი მხოლოდ მაშინ დაიმშვიდეს, როდესაც გაიგეს, რომ ჟორესი და კლემანსო პალატას აღარ შეეკითხებიან, რადგანაც დელკასე სამსახურს თავს ანებებსო.

სიხარულით მიეგებნენ ამ ამბავს, მაგრამ დანამდვილებით კი არ იყვნენ დარწმუნებულნი. დელკასეს კვლავ ბ-ნ ლუბეს იმედი ჰქონდა.

მაგრამ ყველას მოთმინების ფიალა აევსო. პარლამენტის მღელვარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და საქმე იქამდის გამწვავდა, რომ მინისტ-პრეზიდენტმა რუვიემ პალატის კარიდორში ხმა-მაღლა გამოაცხადა: „თუ ბ-ნი დელკასე სამსახურს თავს არ დაანებებს, მაშინ მე დავანებებო“.

რუვიეს ამ სიტყვებმა ელისეის სასახლემდეც მიაღწია. ბ-ნი ლუბე მიხვდა, რამდენად სახიფათო იყო იმ მინისტრის მხარის დაჭერა, რომლის შეცდომებსაც ქვეყანა უფსკრულის კიდემდე მიიყვანა, და გადასწყვიტა—დელკასესათვის მფარველობა აღარ გაეწია.

მეორე დღეს დელკასე სამსახურიდან გადადგა.

დასასრულ, მსურს მკითხველის ყურადღება მივაქციო შემდეგ გარემოებას: იმ დროს, როდესაც საფრანგეთის მთელი პრესსა სიხარულით მიეგება დელკასეს სამსახურიდან გამოსვლას და როდესაც საფრანგეთმა, იმის თავიდან მოშორების შემდეგ, თავისუფლად ამოისუნთქა, უცხო სახელმწიფოთა პრესსამ (გერმანიის გარდა) დიდის მწუხარებით აღნიშნა ეს ამბავი. საკვირველია ასეთი ამბავი, მაგრამ თან ადვილი ასახსნელიც. დელკასეს სამსახურიდან გადადგომა რაში გაეხარდებოდა, მაგალითად, ინგლისს, რომელსაც დელკასემ ამდენი საჩუქრები უძღვნა (ფაშოდა, ეგვიპტე და სხვ.). რასაკვირველია, არ იამებოდათ ინგლისელებს იმ მინისტრის სამსახურიდან გადადგომა, რომელიც ინგლისელების დიდ მოყვარედ ითვლებოდა და რომელსაც მეტ სახელად „მეფე ედუარდის პარიზში მყოფ მინისტრს“ უწოდებდნენ.

არც რუსეთს გაეხარდებოდა დიდის მეგობრისა და რუსეთ-საფრანგეთის კავშირის პარტიზანის დელკასეს სამსახურიდან გადადგომა. ასევე თითქმის იტალიასა, ესპანიასა და სხვა სახელმწიფოთა შესახებაც.

ახლა დავასკვნათ, რა ღვაწლი მიუძღვის დელკასეს საფრანგეთის წინაშე? საფრანკეთის ინტერესების წინააღმდეგ მან სარგებლობა მოუტანა მხოლოდ უცხო სახელმწიფოებს. თავის კადნიერისა და წინ-დაუხედავის პოლიტიკით, მან გახრწნა ნაციონალური პოლიტიკა, მან საფარგეთს გადაამტერა გერმანია, მაროკკო, იაპონია და თავისი სამშობლო გამწარებულ მდგომარეობაში ჩააყენა.

აი, რა არის მიზეზი, რომ მან თავის ქვეყნისა და ხალხის თვალში ფასი დაჰკარგა. აი, რისთვის აიძულეს იგი—სამსახურიდან გასულიყო, რისთვის დასცეს იგი. თავისს შეცდომებით სავსე პოლიტიკის მეოხებით, დელკასემ საფრანგეთის ხარჯით გაამდიდრა ინგლისი, ბუდე ჩაუდგა გერმანიას მაკზენის იმპერიაში და სხვა, და სხვა.

დელკასე ვილჰელმ II მსხვერპლი არ გამხდარა, როგორც გაიძახიან თავსუბუქი პოლიტიკოსები. დელკასემ თითონ დაიკლა თავი და მაინცდამაინც შესაბრალისიც არ არის,—შესაბრალისნი არიან მხოლოდ ისინი, ვისაც მან თავისი ძალზე შერყეული მემკვიდრეობა დაუტოვა.

ა. კ.

რუსეთი

როგორც ეტყობა, **პრესსა თავისუფლებას მალე ვერ ეღირსება.** კობეკოს კომისიის-მიერ შემუშავებული დებულება პრესსის შესახებ შემოდგომაზე ხელმეორედ უნდა გადასინჯონ. მერე ეს დებულება სახელმწიფო საბჭომ უნდა განიხილოს და ხელმწიფეს წარუდგინოს (ს.).

◆ ლატიშურ გაზეთების რედაქტორები თხოულობენ, ნება მოგვეცით ჩვენში დაწყებულ **აგრარულ მოძრაობის შესახებ საკუთარი წერილები და კორესპონდენციები ვწეროთო.** ლატიშური გაზეთები ახლაც მხოლოდ იმას ბეჭდავენ, რაც ოფიციალურ გაზეთებშია დაბეჭდილი (ს.).

◆ კავშირთა კავშირმა სხვადასხვა კავშირებს—

მრავალ-ფეროვანი და მრავალ-რიცხოვანი იყო.

ვინც გერმანიაში არა ყოფილა, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენს, რომ გერმანელთა გართობაში პირველი ადგილი უჭირავს, ეგრედ წოდებულ, **მსვლელობებს.** სხვადასხვა საზოგადოებანი და კავშირები დაირაზმებიან ხოლმე და ქუჩებში მოდიან. ამ მსვლელობებში მონაწილეობას იღებენ არა მარტო სტუდენტები და მხატვრები, არამე ყველა დარგის ხელოსნებიც.

თითოეულის კავშირის წევრები ირთობიან ძველებურ ტანისამოსით, გამოაქვთ თავიანთი დროშები, ხელობის ნიშნები, და მუსიკის კვრით მოემართებიან. დიდებული სანახავია, მაგალითად, ძველებურ ხავერდის ტანისამოსსა და მრავალფეროვან ფრთებით მორთულ ქუდებით გამოწყობილი, წითელის დროშებით ხელში, ქუჩაში მომავალი სტუდენტობა, მაგრამ მათ თავის ლამაზის ტანისამოსითა და მოწყობილობით არც ხელოსანთა მსვლელობა ჩამოუვარდება.

ამ მსვლელობებში უმთავრეს ყურადღებას აქცევენ საერთო სიმღერასა და მუსიკას. ვინ არ იცის, რომ გერმანელს ერთიც ძალიან უყვარს და მეორეც. არ არის გერმანიაში ისეთი ქალაქი, სადაც არ არსებობდეს მუსიკალური საზოგადოება და არ იყოს მგალობელთა კავშირი, რომელიც დრო-გამოშვებით შეიკრიბება ხოლმე რომელსამე დიდ ქალაქში და ხელოვნობით ერთმანეთს ეჯიბრებიან.

გერმანელებს საშინლად უყვართ, აგრეთვე, ცურაობა, გიმნსტიკა, ნავებით მოგზაურობა, და ყველგანაც არსებობს ისეთი საზოგადოებანი, რომელნიც ერთად აკავშირებენ ამ მოყვარულთ. გარდა ამ საზოგადოებათა, არსებობს სხვაგვარი კავშირებიც, რომელთა მიზანია: ავარჯიშონ თავიანთი წევრები, განსავითარებლად მის სხეულისა და ფიზიკურ ძალთა.

ძველი თქმულება—„საღი სული საღ სხეულშიო“—გერმანელთა უმრავლესობას ცხოვრების კანონად გაუხდია და, თუ ყოველთვის ავარჯიშებენ თავისს სხეულს, ასეთისავე მუყაითობით ეკიდებიან თავის გონებისა და სულიერ ძალთა განვითარებასაც.

გერმანიაში არსებობს აუარებელი რიცხვი სამეცნიერო საზოგადოებათა, და არსებობს მარტო სახელით კი არა, არამედ საქმითაც. ყოველ თვეში, ან წელიწადში ერთხელ ეს საზოგადოებანი გამოაქვეყნებენ ხოლმე თავიანთ ნაშრომს და უჩვენებენ თავიანთ ნამოქმედარის ნაყოფს. ამ აუარებელ საგანგებო საზოგადოებათა გარდა, ბევრია ისტორიულ-არქეოლოგიური საზოგადოებანიც, რომლის წევრებადაც ეწერებიან, როგორც სპეციალისტები, ისე ყველანი, ვისაც კი ეყურადღება თავის სამშობლოს წარსული. ბოლოს, ბევრია გერმანიაში სალიტერატურო საზოგადოებანიც. მათი აზრია: ხელი შეუწყონ ადგილობრივ ლიტერატურას, განამტკიცონ და გააფართოვონ სიყვარული პოეზიისადმი, ლიტერატურის ყველა დარგებისადმი. ამ საზოგადოების წევრებად ეწერებიან სხვადასხვა ხელობისა და ცოდნის კაცები: ექიმები, ვექილები, მოხელეები და ბევრი ვაჭარიც, რაც იმას ჰმოწმობს, რომ განათლებულ ქვეყნებში, თვით ისინიც კი, რომლებიც პროზაიკულ ხელობისანი არიან, ცდილობენ, თავისუფალ დროს გონების საზრდოც მოიპოვონ.

გერმანელთა ყველა ეს გასართობები მარტო დროს დაკარგვა არ არის. ყველა ეს ერთად გერმანელს ანვითარებს გონებრივად, ზნეობრივად, ესტეტიურად და ფიზიკურად. ეს ასეც უნდა იყოს იმ ხალხში, რომელიც გულდადებითა შრომობს თავის კულტურის, ნაციონალურ ძალთა განვითარებისა და კეთილ-დღეობის განმტკიცებისათვის. თვით უბრალო გასართობებიც კი სასარგებლო უნდა იყოს—ვინაიდან ძვირფასია დრო და ძალა ადამიანისა. ხოლო რომელი ხალხიც არ აფასებს დროსა და თავის ძალებს, თანდათან წვრილმანდება, გონებრივად დაბლა ეცემა და ცხოვრების მეჯლიში მნიშვნელობასა ჰკარგავს.

დიაღ, მითხარი რითი და როგორ ერთობი, და გეტყვი, რა კაციცა ხარ!

რითი ერთობიან ქართველები თავისუფალ დროს?

გიმნასტიკით? სიმღერით? მუსიკით? ლიტერატურით? თავის წარსულის გამორკვევით? ბალოსნობით?...

ახლა ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ გერმანიის ლიტერატურის შესახებ, ნამეტნავად ხელოვნურ ლიტერატურაზე, ვინაიდან ეს დარგი გონებრივ ცხოვრების თითქმის პირველ მხარეს წარმოადგენს.

როდესაც ლიტერატურას ვახსენებთ, მაშინვე თვალ-წინ დაგვიდგება ხოლმე რომანები და მოთხრობები, რომლებიც უმრავლესობისათვის მართლა რომ მთელს ლიტერატურას შეადგენს. რომანების კითხვის დროს ადამიანი თავის თავს ძალას არ ატანს და თითქო რაღაც ტკბილ დასვენებასა ჰგრძნობს.

მაგრამ, ამ ბოლოს დროს, რომანები ძალიან გამოიცვალა, ნამეტნავად გერმანიაში. საზოგადოებამ ომი გამოუცხადა უშინაარსო და ფუქსავატ მოთხრობებს, თუმცა გამართობელ, წარმტაც და ნერვების აღმძვრელ რომანების ფაბრიკანტებს ჯერ კიდევ ბევრი მუშტარი ჰყავს. და ეს არც საკვირველია იქ, სადაც ყველა, დიდი და პატარა, წერა-კითხვის მცოდნეა. ეს აურიცხველი გლეხობა, ეს უთვალავი მოსამსახურეები, მზარეული და მაღაზიებში მოვაჭრე ქალები—მხოლოდ იაფ-ფასიან საქონელს ეტანებიან და „ხალხში კარგ წიგნების გამავრცელებელ საზოგადოებას“ ჯერ ყველა ვერ მოურჯულებია.

ეს საზოგადოება დაარსდა ამ რამდენისამე წლის წინად და დღეს რამდენისამე მილიონ მარკის ქონება აქვს. ამ სიმდიდრის მეოხებით, ეს საზოგადოება ყოველ წელიწადს ასი-ათასობით ავრცელებს კარგ წიგნებს, მაგრამ ფუქსავატ რომანების ფაბრიკანტებს მაინც ბოლო ვერ მოუღო. მართალი რომ ვსთქვათ, ეს გარემოება არც თუ ძალიან აწუხებთ გერმანელებს, რომელიც, ჯერ ერთი, კარგად ესმით, რომ უმეცარ გემოვნების გარდაქმნას დრო უნდა და, მეორეც, კარგი წიგნების მკითხველები დღე-და-დღე მრავლდებიან. რიგიან რომანებისა და მათ მწერალთა რიცხვი ძალზე მატულობს. ყველა მწერალი, ზოგიერთების გარდა, მიემხრო კარგ მიმართულებას და დღეს სწერენ არა მარტო, ეგრედ-წოდებულ, სოციალურ საკითხების“ შესახებ, არამედ სწერენ ყველა იმ ფილოსოფიურ, ეთიკურ, სარწმუნოებრივ და სხვა საკითხების შესახებ, რომელიც დღეს გერმანიას აღელვებს. ბევრი ემსახურება „მშობლიურ ხელოვნებას“, ე. ი. აღწერს ბუნებას, თავის პროვინციის ხალხს, მათ ზნესა, ხასიათსა და სხ.

„მშობლიურ ხელოვნების“ სამსახურს ამ ათის წლის წინად შეუდგნენ და ძალიანაც შეუწყეს ხელი შესწავლას გერმანიის პროვინციებისას, რომლებიც ერთი-ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან. ამ გამოკვლევათა შედეგი საფუძვლად დაედება, ეგრედ წოდებულ, „ხალხთა ფსიხოლოგიას“. ეს მეცნიერება ძნელი, მაგრამ ამასთანავე დიდად სასარგებლოა. მის მეოხებით გამოჩნდება და აიხსნება ის საიდუმლოებანი, რომლითაც ერთი ერი ანუ მოდგმა განსხვავდება მეორისაგან.

მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ იმერელი ხასიათით ძალიან განსხვავდება ქართლ-კახელისაგან, და აქამდე ის კი არ ვიცით, თუ რა არის ამ მოვლენის უმთავრესი მიზეზი.

საზოგადოდ, გერმანიის თანამედროვე მოთხრობითი ლიტერატურა დიდად საყურადღებოა, ხელოვნური და შინაარსით ძალზე მდიდარი. ერთ დროს გერმანელ მწერლებს, ნამეტანავად კი მეცნიერებს, უსაყვედურებდნენ,—წერა არ იციანო, მაგრამ ახლა ამგვარ საყვედურს მათ ველარავინ გაუბედავს. თანამედროვე გამოჩენილი რომანისტები დიდებულად ხმარობენ კალამს და გულ-წარმტაცად სწერენ. ხოლო წარმტაცად წერა იმ ხალხში რომელიც უმაღლესად განათლებულია, რომელსაც დიდი დაკვირვება და განვითარებული კრიტიკა აქვს, ისე ადვილაც არ არის. გერმანელ მკითხველს დიდი მოთხოვნილება აქვს და, თუ ერთი წიგნი 50—100 ათასი ცალი იბეჭდება, მაშასადამე, ამ წიგნს თავისი ღირსება და ფასი ჰქონია.

ამჟამად არ შევეხები კერძო მწერლებს და მხოლოდ ლიტერატურულ ნაწარმოების შესახებ საერთოდ ვისაუბრებ.

გერმანელ მკითხველს არ აინტერესებს მოთხრობის, ეგრედ-წოდებული, ფაბულა, არაკების კითხვა მას არ უნდა და არცა თხოულობს, რომ მოთხრობაში ბევრი რომ იყოს გამოგონილი. იგი მწერლისაგან თხოულობს სინამდვილის ხელოვნურად დასურათებას. ხოლო თანამედროვე სინამდვილე, ან ხასიათი გამოჩენილ კაცთა, რომ რიგიანად დაასურათო, გარდა იმისა, რომ დიდი დაკვირვების პატრონი უნდა იყო, განათლებაც დიდი უნდა გქონდეს, რაიმე ახალი უნდა სთქვა, ვინაიდან თვით მკითხველი თხოულობს შენგან ახალ შეხედულობას ძველ საგნებზე, თხოულობს ახალ აზრებს. კულტურის განვითარებასთან ერთად რომანისტის საქმეც რთულდება და ძნელი წარმოსადგენია, რას მოითხოვს მისგან მკითხველი ამ ასის წლის შემდეგ. ამის მიუხედავად, ლიტერატურაში რომანების მწერლების მნიშვნელობა თანდათან მცირდება, ვინაიდან ისინი იძულებულნი არიან სწერონ მხოლოდ „სადღეისოდ“. და თუ ასე არ მოიქცნენ, მათ ძალიან მცირე მკითხველი-ღა დარჩებათ. საქმეს ის უფრო აძნელებს, რომ ეს „სადღეისო“ ხვალ უკვე დაძველდება და ყველას დაავიწყდება. ლიტერატურის ისტორია დუმილით აუვლის მას გზას და შთამომავლობას მხოლოდ რჩეულთა სახელი-ღა ეცოდინება და მათის თხზულების წასაკითხად კი არ ეცლება.

აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ მოთხრობების მწერლები იღვწიან მხოლოდ თავიანთ თანამედროვეეთათვის და აწვდიან მათ გონებრივ საზრდოს—როგორც მეპურეები პურს,—და ჯილდოდ იღებენ მხოლოდ სწრაფ-წარმავალ დიდებას.

მაგრამ მათი შრომა საერთო კულტურაში უბრალოდ არ იკარგება, მათ-მიერ დათესილის ნაყოფს იმკიან ასნი და ათასნი და მათი აზრი ფართოვდება და ვითარდება მათ მემკვიდრეთაგან.

ასეთია მწერლის ბედი ჩვენს ამღელვარებულ დროს და ასეთი დღე ადგიათ გერმანიაშიაც, სადაც წელიწადში 5—6 ათასი რომანი იწერება. რომელ ამ რომანების დამწერთაგანს შეუძლიან იფიქროს, რომ მე უკვდავი ვარო? მაგრამ განა მწერალმა მარტო დიდებისათვის უნდა იმუშაოს? არა! გრძნობა მოვალეობის ასრულებისა უფრო ბევრს ნიშნავს, ვიდრე დიდება.

გიოტემ სთქვა: ვინც თავის უკეთესს თანამედროვეეთათვის იმუშავა, იგი საუკუნოებისათვის ცხოვრობდაო“.

არტურ ლეისტი.

ჟურნალისტებს, ინჟინრებს, ექიმებს, ვექილებს, მასწავლებლებს, ზეითლებს, ფარმაცევტებს, პროფესორებს, კანტორებში მოსამსახურეთ, რკინის გზების მსახურთ, აგრონომებს, ერობაში მოსამსახურეთ, კონსტიტუციონალისტებს, დედაკაცებს, ებრაელებს, გლეხებსა და სხვებს—შეატყობინა, დაუყოვნებლივ აირჩიეთ ათ-ათი წარმომადგენელი, რომელნიც უნდა შეიკრიბნენ და **დღევანდელ საჭირბოროტო საკითხებსა და ბულიგინის პროექტის შესახებ მოილაპარაკონო** (რ. ვ.).

✦ **ბალტიის გემთსაშენებელი ქარხანა,** რომელიც ერთი უდიდესი დაწესებულებაა რუსეთში, **ამერიკელ კაპიტალისტების ხელში გადადის.** ამ ქარხნის გარდა, მალე იმავე კაპიტალისტების ხელში გადავა სხვა დიდი ქარხნებიც—გალერნი კუნძულისა, ლანგესი, რეველისა, ლიბავისა და სხ. (რ. ვ.).

✦ იმ კომისიამ, რომელიც ვენ. სტესსელის საქმეს იხილავდა, უცებ **მოსპო მუშაობა** და დაიშალა (რ. ვ.).

✦ პეტერბურგში **გარდაიცვალა** მთელ რუსეთში ცნობილი ვექილი **მირონოვი** (რ. ვ.).

✦ აქამდის ვარშავის გენერალ-გუბერნატორები ზაფხულს ვარშავის მახლობლად მდებარე საგარაკოში—ბელვედერში ატარებდნენ. ახლანდელი **გუბერნატორი** კი ვარშავის მახლობლად მდებარე **სიმაგრე—ციხეში** აპირობს ცხოვრებას.

✦ ამ დღეებში დაბა პელვიშკაში (პოლონეთში) გლეხებს დიდი **დემონსტრაცია მოუხდენიათ.** გლეხები პოლიციის სამმართველოს დასცემიან თავსა, თან ანგრევდნენ იქაურობას და თან ყვიროდნენ: „ძირს რუსეთი! გაუმარჯოს იაპონიას!“ უფროსი პოლიციელი გაძალიანებულა. გლეხებს დაუჭერიათ იგი და შუაზე გაუხლეჩიათ. დაჭრილა რამდენიმე კაცი (ნ. ჟ.).

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ მაისში **დასჭრეს უფის გუბერნატორი სოკოლოვსკი.** პირველად გუბერნატორს ჭრილობის შესახვევად ეწვია ექიმი კაპლანი. სოკოლოვსკიმ, დაინახა თუ არა კაპლანი, დაუყვირა, გარედ გაეთრიე, შე ასეთო და ისეთო, და უშვერ სიტყვებით დაუწყო ლანძღვა. მეორე დღეს ექიმი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი უპოვეს (რ. ვ.).

✦ **პრესსის თავისუფლება.** ბრესტ-ლიტოვსკსა, მინსკს და ივანოვო-ვოზნესენსკში ხალხის ხოცვა-ჟლეტა ყოფილა; **ბიუროკრატიას ამ ამბების დამალვა უნდოდა** თურმე. ბრესტ-ლიტოვსკიდან ასეთი დეპეშა გაგზავნეს პეტერბურგში: „სალდათები გვიკლებენ. დაჭრილი ბევრია, ქალაქში საშინელი ამბები ხდება“. ეს დეპეშა პეტერბურგში არ მისულა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მისულა, მაგრამ მთავრობის განკარგულებით, დანიშნულებისამებრ არ გადაუციათ (რ. ვ.).

✦ 3 ივნისს ივანოვო-ვოზნესენსკში **კაზაკებს მუშებზე ნამდვილი ნადირობა გაუმართავთ.** ამ სურათს ასე სწერს „ვეჩ. ფოსტა“:

„26 მაისიდან მუშები გაიფიცნენ. ყოველ დღე მთავრობის ნებართვით მდინარის ნაპირას აურაცხელი მუშა—ზოგჯერ 50 ათასი კაცი იკრიბებოდა და თავისს საჭიროებაზე ლაპარაკობდა. წესრიგი არსად დარღვეულა, რასაც ოფიციალურად თვითონ გუბერნატორი ამოწმებდა. პოლიცია ხმას არ იღებდა; 3 ივნისს კი უცებ „გონს მოვიდა“ და კაზაკები, დრაგუნები და ქვეითი ჯარი დილიდანვე დაამზადა. შეიკრიბნენ თუ არა მუშები, ჯარი მიესია, დაუწყო ცემა, ჩეხვა და გაჰფანტა. ამავე დროს კაზაკები გაქცეულ მუშებს რკინის გზასთან ჩაუსაფრდნენ. საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ მუშებს უეჭველად გზაზე უნდა გადაერბინათ. ვინც კი გზაზე გამოჩნდებოდა, კაზაკები ესროდნენ და იქვე აწვენდნენ. ამავე დროს კაზაკთა მეორე რაზმი გარშემოერტყა პატარა ჭალას, სადაც მუშების ერთმა ნაწილმა შეაფარა თავი და, აქ გაიმართა ნამდვილი ნადირობა. კაზაკები ბუჩქებში დამალულ მუშებს დაეძებდნენ და ვისაც იპოვიდნენ, იქვე ჰკლავდნენ. ამ ნადირობამ საღამომდის გასტანა. დახოცილთა და დაჭრილთა რიცხვი დიდია. მათ შორის მრავალი დედაკაცი, ბავშვი და ძუძუმწოვარა ყმაწვილიც არის. კაზაკებმა მოასწრეს რამდენსამე დედაკაცს, რომელთაც ძუძუმწოვარა ბავშვები ეჭირათ და მირბოდნენ. დედაკაცებიცა და ბავშვებიც იქვე დახოცეს. ეს ხოცვა-ჟლეტა თვითონ პოლიციას გამოუწვევია. როცა კაზაკები ხალხს მიუახლოვდნენ, გაისმა სროლა. რევოლვერებს ისროდნენ მუშურად გადაცმული პოლიციელები. კაზაკებმაც მიზეზი იპოვეს და უდანაშაულო ხალხს დაერივნენ. მეორე დღეს მუშებმა იცნეს ერთი გადაცმული პოლიციელთაგანი და ცემით მოკლეს“.

ზემოხსენებულ კორესპონდენციაში დაწვრილებით არის აწერილი ზოგიერთი სცენები, რომელნიც მკითხველს თმას ყალხზე აუყენებენ.

✦ 7 ივნისს ეკატერინოსლავში პოლიცია თავს დასცემია მუშებს. **დაჭრილი ბევრია** (რ. ვ.).

✦ ელიზავეტოგრადს აჯარებელი კიევლი მუშა მიაწყდა. მოსულმა მუშებმა სამუშაო ფასი დასწიეს და ადგილობრივ მუშებს სამუშაო წაართვეს. ამის გამო მუშათა ორ ჯგუფს დიდი შეტაკება მოსვლიათ. **ბევრია დაჭრილი და დაშავებული** (რ. ს.).

✦ 7 ივნისს სტავროპოლში მართლმადიდებლებსა და „სტაროობრიადცებს“ ბაასი ჰქონდათ სარწმუნოებაზე. ერთმა „სტაროობრიადცმა“ ცუდად მოიხსენია ხატები. ამის გამო ხალხი აღელდა და საღამოს 9 საათზე ეკლესიასთან შეიკრიბა. პოლიციამ ჯარი მიიშველია. **ჯარმა ხალხს თოფი დაუშინა.** ბრძოლის ველზე 11 მოკლული და 50—60 დაჭრილი დარჩა. დაჭრილებთან ჯარმა ექიმები არ მიუშვა (რ. ვ.).

✦ **პრესსის თავისუფლება.** 6 ივნისს პეტერბურგის ყველა გაზეთებს მიუტანეს დაბეჭდილი სიტყვა ხელმწიფისა დეპუტატთა მიმართ. ცენზურამ ეს სიტყვა მოითხოვა, თავისებურად გადააკეთა და გაზეთებს დაუბრუნა. ამრიგად **ხალხმა ვერ გაიგო ხელმწიფის ნამდვილი პასუხი** (რ. ვ.).

✦ კავშირთა კავშირმა სთხოვა კავშირებს, შეიმუშავეთ გეგმა, როგორ მოვახდინოთ **საერთო გაფიცვა რუსეთშიო** (რ. ვ.)

✦ სამებობა დღეს შლისელბურგში მუშათა ორს დასს—ეკონომისტებსა (ზუბატოვის პარტიის) და სოციალდემოკრატებს—დიდი ჩხუბი მოსვლიათ. პოლიცია არ მიშველებია და მოჩხუბარნი არ გაუშველებია. ბოლოს **დემოკრატებს გაუმარჯვნიათ** და ზუბატოვის პარტია უფრენიათ (რ.).

◆

კრება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში

შაბათს, 11 ივნისს, სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში მოხდა გაგრძელება იმ კრებისა, რომელიც იხილავს ამ სკოლის მასწავლებელთა გეგმას სკოლის რეორგანიზაციის შესახებ. განიხილეს მე-3, 5, 6, 7, 10, 11 და 12 მუხლები მოხსენებისა. მოხსენებას იცავდნენ სკოლის ინსპექტორი ჩიტაძე და ამავე სკოლის მასწავლებლები—კარიჭაშვილი, მიქაბერიძე, გორგაძე და სხ. პროექტს წინააღუდგა უმთავრესად ბ-ნი იაკობ დულაძე, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამგვარი რეორგანიზაცია სკოლას უფრო დააქვეითებს, ვიდრე გააცოცხლებს. დიდი კამათი გამოიწვია იმ მუხლმა, სადაც ნათქვამია,—სასწავლო საგნებში ფილოსოფიის ისტორია, ფსიხოლოგია, კულტურის ისტორია და პოლიტიკური ეკონომია უნდა შევიტანოთო. ბ-ნი დულაძე ამტკიცებდა, მოსწავლე ახლაც ვერ ასწრობს გაკვეთილების სწავლას და, ეს საგნებიც რომ მოვუმატოთ, ბავშვი ფიზიკურად და სულიერად დაიჩაგრებაო. ბ-ნი ჩიტაძე ამტკიცებდა, რომ მოსწავლეს მაშინაც იმდენი დრო მოუნდება, რამდენიც ახლა უნდება, რადგან, ჩვენი მოხსენებას ძალით, ზოგიერთი საგანი სკოლიდან სულ უნდა განაძევოთ და მათ მაგიერ (მე-7 და 8 კლასებში კვირაში 15 გაკვეთილი) ახალი საგნები ვასწავლოთო. სხვებთან ერთად ბ-ნი მიქაბერიძეც ამტკიცებდა, ცვლილება მხოლოდ პროგრამაში და ზოგიერთ საგნების კურსის შემცირებაშიაო. ერთი საგნის მაგივრად მეორე იქნება, არსებითად კი მოსწავლეს სამუშაო დრო არ ემატებაო.

მოხსენებაში ნათქვამია, მასწავლებელნი მოვალენი არიან პედაგოგიური რეფერატები სწერონ და კრებებზე ერთმანეთს გაუზიარონო. ბ-ნ დულაძის სიტყვით, ეს ისეთი უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ მოხსენებაში მისი ჩატანა არ ღირდაო.

კრებაზე საერთოდ ის აზრი გამოირკვა, რომ „მოხსენებაში“ საკმაოდ არ არის დასაბუთებული, შეიძლება თუ არა იმ ცვლილების განხორციელება, რომელსაც სკოლის მასწავლებლები ემხრობიან.

კრების გაგრძელება სხვა დღისოდ გადაიდო.

◆

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

(12 და 13 ივნისი)

როგორც მკითხველებმა იციან, მაისის ბოლო რიცხვებში შემდგარი რწმუნებულთა კრება გადაიდო 12 ივნისისთვის, რათა შეძლება ჰქონოდა ბანკის გამგეობას დაებეჭდა ბანკზე დატოვებულ მამულების შესახებ მოხსენება და წარედგინა იგი კრებისთვის, კვირას, 12 ივნისს, შემდგარმა კრებამ, თავ. დ. ე. ჩოლაყაშვილის თავმჯდომარეობით, განიხილა ბანკის გამგეობის-მიერ წამოყენებული ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მოსამსახურეთა შემნახველ-დამხმარებელ კასსის პროექტი. როგორც ამ პროექტიდანა სჩანს, ხსენებულ ბანკთან არსდება შემნახველ-დამხმარებელი კასსა ბანკის მოსამსახურეთა ანუ მათის ოჯახების დასახმარებლად. თუ ვინიცობაა ვინმე მოკვდა, ან სამსახურს თავი დაანება, ამ შემთხვევაში მათ ეძლევათ ერთდროის დახმარება იმ ფულიდან, რომელიც მოსამსახურეთ სამსახურის დროს გამოერიცხებათ და რომელსაც ყოველ წლივ ბანკი გადასდებს დასახმარებლად. კასსაში იღებენ მონაწილეობას გამგეობისა და დამფასებელ კომისიის წევრნი და ყველა ბანკის მოსამსახურე განურჩევლად. თუ მოსამსახურემ ბანკში იმსახურა არა ნაკლებ ხუთი წლისა, ან თუ ეწვია რაიმე ავადმყოფობა, ეძლევა მას სრულად შემდგარი ფული თავისი სარგებლით. სიკვდილის შემდეგ კი ეს ფული მიეცემა მოსამსახურის ოჯახს, ან ობლების მზრუნველს, და თუ მოსამსახურემ იმსახურა ხუთ წელზე ნაკლები, მაშინ ეძლევა მხოლოდ სამსახურის დროს დაჭერილი ფული, ბანკის-მიერ მიცემულ ფულიდან კი ხვადრი ფული რჩება დანარჩენ მოსამსახურეთა სასარგებლოდ. სამსახურის დროს მოსამსახურეთ გამოერიცხებათ ყოველ თვე ჯამაგირის 5% და ბანკის მოგებიდან ხვადრი ფულის 10%. ბანკი ყოველ წელს მოგებიდან გადასდებს ფულს იმდენს, რამდენსაც მოისურვებს ბანკის რწმუნებულთა კრება, მხოლოდ არა ნაკლებ 10,000 მანათისა, კასსის საქმეებს განაგებს მმართველობა, რომელიც შესდგება ბანკის გამგეობისა და კასის დანარჩენ მონაწილეთა მიერ არჩეულ ორ პირისაგან. ამ მმართველობის თავმჯდომარედ ითვლება ბანკის გამგეობის თავმჯდომარე.

ამ პროექტის განხილვას რწმუნებულთა კრებამ მთელი დღე მოანდომა. მომეტებული ნაწილი ორატორებისა ამტკიცებდა, რომ შემნახველ-დამხმარებელ კასის მაგივრად უნდა დაარსდეს საპენსიო კასსა. ბანკის გამგეობა და ზედამხედველის კომიტეტის წევრნი ამტკიცებდნენ, რომ საპენსიო კასის დაარსება ამჟამად შეუძლებელია, რადგან კანონით ამ კასსას ჰპირდება თანხა, რომელიც ბანკმა უნდა შეიტანოს სახელმწიფო ბანკში, როგორც გარანტია. თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას, მივიღოთ დამხმარებელ კასსის პროექტი, მაგრამ იმავე დროს დავავალოთ ბანკის გამგეობას შეიმუშაოს საპენსიო კასსის პროექტი, წარმოუდგინოს შემდეგში რწმუნებულთა კრებას და თუ, დავამტკიცეთ იგი, შემდეგ საპენსიო კასსაზე გადავიდეთო. ამგვარად დაყენებულმა საკითხმაც გამოიწვია კამათი და, რადგანაც გვიან იყო, თავმჯდომარემ ეს საკითხი მეორე დღისთვის გადასდო.

კვირას, საღამოზე, სხვათა შორის, განხილულ იქმნა განცხადება თავ. დ. ამირეჯიბისა, რომელიც უჩივის ბანკის გამგეობას: 9 წლის განმავლობაში ვმსახურობდი დამფასებელ კომისიის მწერლად და ბანკის გამგეობამ უმიზეზოდ დამითხოვა და მოწმობაც არ მომცა, რომ შემძლებოდა სადმე სხვა ადგილი მეშოვაო. თავ. ამირეჯიბი სთხოვდა რწმუნებულთა კრებას, აიძულეთ ბანკის გამგეობა—სამი წლის ჯამაგირი, 1800 მანათი, და მოწმობა მომცესო. ბანკის გამგეობა თავს იმართლებდა და ამტკიცებდა, თავ. ამირეჯიბი კარგად ვერ ასრულებდა სამსახურს, ხან მოდიოდა, ხან არ მოდიოდა და, დასასრულ, ამხანაგობის კასსის ფული, რომელიც მას ჰქონდა ჩაბარებული, გაჰფლანგა, ასე რომ, ამხანაგებმა თავის ჯიბიდან შეავსეს ეს ფულიო. კრებამ გარდასწყვიტა, თავ. ამირეჯიბის თხოვნა უყურადღებოდ დასტოვოს.

გუშინდელი კრება გაიხსნა $1\frac{1}{2}$ საათზე და საქმის წაკითხვის შემდეგ, შეუდგა შემნახველ დამხმარებელ კასსის წესდების მუხლების განხილვას. მთელი დღე კრებამ ამ მუხლების განხილვას, შესწორებასა და ჩამატებას მოანდომა, რის შემდეგაც თავმჯდომარემ კრება დღეისთვის გადასდო და სთხოვა საზოგადოებას: შეიყარენით უთუოდ 10 საათზე, რადგან იძულებული ვარ ყოველთვის 12 საათზე გავხსნა კრება და საქმეების განხილვას ვერ ვასწრებთო.

◆

კორესპონდენცია

ქ. ოზურგეთი. 4 ივნისს, საღამოს, ყველა სოფლიდან ქალაქში შემოსასვლელი გზები შეკრული იყო და ყველგან პატრულები და „სტრაჟნიკები“ იდგნენ, რომელნიც არავის არ უშვებდნენ არც იქით და არც აქეთ. მდ. ჟუჟის ხიდთან მდგომ „სტრაჟნიკებმა“ ხუთჯერ ესროლეს თოფები სოფლისაკენ მიმავალ მგზავრებს, გაჩხრიკეს და დაჭერილი წამოიყვანეს. ქუჩაში მეოთხე დარაჯები კარის გამოღების ნებას არ გვაძლევდნენ: „სროლა იქნება, კარები დახურეთ, სახლში იყავითო“—გვეუბნებოდნენ, ხოლო ვისთვის უნდა ესროლნათ ეს სროლა, არ ვიცოდით. როგორც შემდეგ გავიგეთ, ეს „ალიაქოთი“ იმას გამოეწვია, რომ ადგილობრივ ხელოსნებს კრება ჰქონდათ ქალაქ გარედ თავიანთ საჭიროებებზე მოსალაპარაკებლად, ეს არ დარჩენია შეუმჩნეველად, რასაკვირველია, რომელსამე „მზვერავს“ და შეუტყობინებია, „სიცა ჯერ არს“: „არიქა, უშველეთ, თორემ დაინგრა მთელი ქვეყანა, ხელოსნებს კრება აქვთო“!

როგორც ამბობენ, ახალ განკარგულებით, ამიერიდან კაზაკებმა სოფლებში უნდა იარონ. ასეთი განკარგულება ძლიან შეავიწროებს სოფლელებს და შეაფერხებს შრომას. ახლა ნამდვილი მუშაობის დროა არის, კაცი ყველა სამუშაოზეა გასული და, თუ კაზაკები სოფლებში დაიწყებენ სიარულს, გლეხმა მუშაობას თავი უნდა გაანებოს, ვინაიდან კაზაკთა ზრდილობიანობა და პატიოსნება იმდენად ცნობილია ყველგან, რომ ქალები და ბავშვები, ვერც ღამე და ვერც დღე, მარტოდ სახლში ვეღარ რჩებიან...

7 ივნისს, ქალაქის ბაღში, აქაურ ვაჭარ-ხელოსანთა ნება-დართული კრება მოხდა. ამ კრებას არჩეულმა კომისიამ წაუკითხა თავისი აღმოჩენანი და აზრი ნოქარ-შეგირდთა ბინების შესახებ. როგორც კომისიის ცნობებიდანა სჩანს, ნოქარ-შეგირდთა ბინების უმეტესობა უვარგისი, უსუფთაო, ვიწრო და ყოველ ჰიგიენურ მოთხოვნილებას მოკლებული ყოფილა.

ოზურგეთის ბაზარი ზედ წყლის პირას არის გაშენებული და ამიტომ ქვის მაღაზიებში მეტის-მეტი სინესტე ბუდობს, ხოლო ამ სინესტეს ის ემატება, ბინის პატრონთა „სანაქებოდ“, რომ ბინას უსუფთაოდ ინახავენ და ასეთ ალაგას, რასაკვირველია, ცხოვრება არ შეიძლება.

ზოგიერთმა ნოქარმა კრებაზე დიდი საყვედური განაცხადა: „თუმცა ჩვენი მოთხოვნილებანი სიტყვიერად დაკმაყოფილებულად იქმნა, მაგრამ უმეტესობას საქმით არ გვაკმაყოფილებსო“.

ვაჭრებსა და ხელოსნებს ერთი კვირა ვადა მიეცათ, რომ ნოქართა ბინები გააუმჯობესონ, ან სხვაგან იშოვნონ.

ჭინკაი.

კახეთი, 9 ივნისი. თელავ-ტფილისის გზა შეკრულია ნიაღვრებისაგან. 5-ს ივნისს დაიწყო წვიმა კოკის-პირული. მოუწყობელ ხევების ნიაღვრებმა ზოგან ხიდები წაიღო, ზოგან ისე დახრამა გზა, რომ გადასვლა არ შეიძლებოდა, ზოგან ვენახები და მინდვრები რიყით აავსო,—ერთის სიტყვით დიდი, ძლიან დიდი ზარალი მიაყენა კახეთს 5, 6 და 7 ივნისის ნიაღვრობამ. იყო რამდენიმე მსხვერპლიც: თელავის რიყემ, რომლის მოწყობისათვის ისევე ზრუნავს თვითმართველობა, როგორც ჭკარლი ღევი, დაანგრია ბაღნოვიანთ უბანში სამი ბალავანი და ერთი სახლი, სადაც გამოქცეული დედა-შვილი ეზოში მდგომარე კომშზე ასულიყვნენ. წყალმა დედას 12 წლ. ვაჟიშვილი მოსტაცა და დაახრჩო. ბევრი იყვირა დედამ შველამისას, მიშველეთ, შვილი მომტაცაო, მაგრამ ვინ იყო გამგონი; ჭინისანის ხევმა ერთი კაცი და ერთი დედაკაცი დაახრჩო. 6-ს მაზრის უფროსი და ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი წავიდნენ გზის დასათვალიერებლად, გაიგეს, რომ თელავ-ტფილისის გზა ბევრგან გაფუჭებულია. მაზრის უფროსმა 40 მუშა გაგზავნა შესაკეთებლად, რადგანაც გომბორში 48 მგზავრს მოეყარათ თავი და გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ, გზის გამკეთებელი არავინ სჩანდა; ბ-ნი ინჟინერი ისე იქცეოდა, როგორც ინჟინერი უნდა მოქცეულიყო—განცხრომაში იყო ტფილისში. 7 ს,—საღამოზე მგზავრები ჩამოვიდნენ თელავს და თან ჩამოიტანეს გაზეთები, 5-ს ივნისის მოსვლელი. მას აქეთ აღარც გაზეთია და აღარც მგზავრი. დღეს 9 ივნისია და ჯერ გზა არ გახსნილა.

ნადიკვრელი

წერილი რედაქციის მიმართ

მე მოსამსახურედ გახლდით მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონიაში (ავჭალაში). 8 ივნისს, თავისუფალ დროს, ეზოში ვიჯექი და ჩემს ამხანაგებს „ივერია“-ს ვუკითხავდი. ამ დროს ჩვენი კაპელმეისტერი მოგვიახლოვდა და ჩვენს მახლობლად დაჯდა. კაპელმეისტერს, ალბად, ეწყინა, რომ იმის მახლობლად გაზეთს ვკითხულობდით, წავიდა და კოლონიის გამგესთან—ი. მადლაშვილთან—დაგვაბეზღა. მადლაშვილმა დამიბარა და დამტუქსა. რა შენი საქმეა გაზეთის კითხვა, შენ იატაკი უნდა სწმინდო და არა გაზეთი იკითხოო.

იმავე საღამოს ჯამაგირის მისაღებად მივედი მადლაშვილთან. ჯამაგირი კი მომცა, მაგრამ თანაც მითხრა, ხვალ დილით შენი ფეხი აქ აღარ იყოსო. მეც წამოვედი და დღესაც ვერ გამიგია, ნუ თუ მე, მოსამსახურეს, გაზეთის კითხვის ნება არა მაქვს და, თუ წავიკითხე, ადგილს თავი უნდა დავანებო? ერთი საწყალი დედმამის შვილი ვარ და ძლივ-ძლივობით ვისწავლე კითხვა, ახლა კი კითხვის ნებას არ მაძლევენ და მეუბნებიან,—რა შენი საქმეა გაზეთის კითხვაო!

ვაცნობებ ამ ამბავს საზოგადოებას და, დაე, საზოგადოებამ დააფასოს ბ-ნ მადლაშვილის საქციელი.

ნიკოლოზ მიგრდიჟანაშვილი.

◆

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

12 ივნისი.

გუნჯულინი, 12 ივნისი. გუნჯულინის მშვიდი ცხოვრება წუხელის დაირღვა. დაპატიმრებული ხუნხუზები დარაჯს დეცნენ, საპატიმროს ცეცხლი წაუკიდეს და გაქცევას აპირობდნენ. გარეშე მდგომმა დარაჯმა თოფი გაისროლა, ასტყდა თოფის სროლა, ჯარი მოგროვდა, ხუნხუზები შეიპყრეს და ისევ სიმშვიდე ჩამოვარდა. ორი ხუნხუზი მოჰკლეს და ერთი ჯარის კაცი დაიჭრა.

ნაგასაკი, 12 ივნისი. ვლადივოსტოკის ლაშქრის დატყვევებული ჯარის კაცები ამბობენ, ციხეში სამი კორპუსი არისო. ყოველ დღე ვლადივოსტოკის ჯარს 1,000 მეომარი ემატება. ახალი სიმაგრეებიც აუგიათ. კრეისერები „ბოგატირი“, „როსია“ და „გრომობოი“, ორიც სხვა ჯავშნოსანი კრეისერი, ხუთი ნაღმოსანი და ორი წყალში მავალი ნავი ხანდისხან ნავთსადგურიდან გადიან.

ტოკიო, 12 ივნისი. ოფიციალური დეპეშა ინჩენის ბრძოლის შესახებ იუწყება, რომ რუსები პანჩენძის ჩრდილო-დასავლეთად მაღლობებზე მედგრად იბრძოდნენ. ბოლოს იაპონელებმა ცხარე იერიში მიიტანეს და რუსების ადგილი დაიჭირესო. იაპონიის მოწინავე რაზმი კიან სენიდან წინ წავიდა ჩრდილოეთისაკენ, 25 მილის მანძილზე. მარშალ ოიამას ყოველ-დღე ახალი ჯარი ეგზავნება იაპონიიდან, თუმცა უამინდობაა.

კორესპონდენტები დეპეშებით იუწყებიან, რომ იაპონელების ლაშქარი მტკიცედ მიდის გირინ-ჩანჩუნის მხარეს.

უკანასკნელ ცნობებით, ლინევიჩს ჰყავდა 171,000 მეომარი, როცა მთავარ-სარდლობა ჩაიბარა. შემდეგ მიემატა 135,000 მეომარი და მუკდენის ბრძოლის შემდეგ ჯარში დაბრუნდებოდა 50,000-მდე განკურნებული დაჭრილ-ავადმყოფი. ზარბაზნებიც 900-მდე ექმნება. ჩანჩუნის გარშემო 40,000 ნაკლები მეომარი არ უნდა იყოს.

ამჟამად იაპონიაში 70,000-ზე მეტი ტყვე არის, მათ რიცხვში სამი გენერალ-ლეიტენანტი და ვიცე ადმირალი, შვიდი კონტრ ადმირალი და გენერალ-მაიორი.

სინიანჩენის ბრძოლაში 8 ივნისს რუსებს ჰყოლიათ 2,000 მეომარი სამი ზარბაზნით. იაპონელების დანაკარგი 6 მოკლულია და 35 დაჭრილი. რუსებმა თავიანთ დაჭრილების ნაწილი ჩინელების ურმებით წაიყვანეს.

ხარკოვი. ჯერ სუმის მაზრაში იფეთქა გლეხთა აგრარულმა მოძრაობამ, ხოლო იქიდან კი სხვა მაზრებშიც მოიდო. ლებედინის მაზრის გარდა, მოძრაობა ყველგან მშვიდია. გლეხებს და მემამულეებს შორის შეთანხმება ხდება.

ბელოსტოკი. უფროს პოლიციელის მისკერის მოკვლა პირადის შურის-ძიების შედეგია. გუშინ საღამოს ერთს აგარაკს სროლა აუტეხეს და ერთი გასათხოვარი ქალი მძიმედ დასჭრეს.

ვარშავა, 12 ივნისი. გუშინ საღამოს ვოლის მაღაზიებში უცნობებმა დანით მძიმედ დასჭრეს საღარაჯოზე მდგომი პოლიციელი.

მოსკოვი, 12 ივნისი. დღეს მიძინების ტაძარში წირვა გადაიხადეს. წირვის შემდეგ მიტროპოლიტმა წარმოსთქვა სიტყვა ომსა და შინაურს არეულობაზე. მიუთითა რა შინაურს ამბოხებაზე, მიტროპოლიტმა სთქვა: ეს სამწუხარო გარემოება—შინაური აჯანყება—იმან გამოიწვია, რომ გვინდა თავი დავაღწიოთ პირველ-ყოფილ მდგომარეობას, გვერდი ავუქციოთ სარწმუნოებასა და სახელმწიფოს ახლანდელ წყობილებას და ვცდილობთ დასავლეთ-ევროპის ცხოვრება შევითვისოთო. შემდეგ წითელს მოედანზე, მრავალ ხალხის თანდასწრებით, გადაიხადეს პარაკლისი, რათა ღმერთმა გამარჯვება მიანიჭოს რუსის მხედრობას.

პეტერბურგი. „ნოვოსტი“ იუწყება, 11 ივნისს სარტილერიო ნაღმის ქარხნის შენობაში საშინელმა აფეთქებამ მოჰკლა პოლკოვნიკი რასვეგინი და ორი ბომბანდირი; მთელი სახლი სულ განადგურდა, თხრილიც დაინგრა.

პარიჟი (ჰავასი). ბერტომ კომის ხსოვნის პატივსაცემლად გამართულს დღესასწაულზე სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა,—არ მინდოდა შეთქვა რამე ამისთანა დროს, მაგრამ მაინც იძულებული ვარ ვსთქვა, რომ დიდი დანაშაულობაა ახლა საზოგადოების დანიშნულება და უნდობლობის აღძვრა. ზერიქით, ოცდა ათი წლის განმავლობაში, ჩვენის მეცადინეობის მეოხებით, ჩვენ პირველ ხარისხოვანი ადგილი გვეჭირავს, სურსათ-სანოვაგეზე ზრუნვის საქმე დამთავრებული გვაქვს და ჩვენს აფიცრებსაც თამამად შეუძლიათ მთელის ქვეყნიერობის აფიცრებს შეედარნენ. საფრანგეთი მოქმედობს პროგრესისა, საყოველთაო თანასწორებისა და თავისუფლებისათვის.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.)

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს, 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. წ. (11 ს. 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის.

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები
“წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“
ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი.	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა.	20

დარბაზის კედლისად მოსართავი სურათები: შოთა რუსთველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 40 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია **„ცოდნა“.**

სოსიკო მერკვილაძე. (20—6)

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი

ბრძოლა არსებობისათვის

დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად

და სხვადასხვა **ლექსები და პოემები** დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—4)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 13 іюня 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.